# სახალხო გაზეთი

№ 879 ხუთშაბათი, 26 აპრილი 1913 წ. № 879

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



☛ მიიღება ხელის-მოწერა ☚
ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

უცხოეთის მწერლები
კნუტ-ჰამსუნისა, ხუნისა, არტურ შნიცლერისა ჰ. სენკევიჩის თხზულებები.

სახალხო გაზეთი

ქართველი ერის ისტორია
პროფ. ივ. ჯავახიშვილისა. სურათებითა და საქართველოს რუკით.

სურათებიანი დამატებით
(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).
წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.
პირველ მაისიდან წლის დამლევამდე ღირს 6 მან.
თვეში ღირს 75 კაპ.
(როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ).
წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემიები „უცხოეთის მწერლები“ და „ქართველ ერის ისტორია“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. უნდა გადახდილი იყოს 1 ენკენისთვემდე.
(საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.)
გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

კვირას, 28 აპრილს,
არჩილ ჯორჯაძის
გარდაცვალების მე-40 დღეს, დიდუბის ეკლეს. გალავანში, განსვენებულის საფლავზე, დილის 11 საათზე, გადახდილი იქნება პანაშვიდი.
1176

უდროოდ დაკარგულის, ტფილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოწაფის, დათიკო ჯაოშვილის, გულდამწვარი მშობლები უღრმეს მადლობას მოვახსენებთ ყოვლად სამღვდელოთ: იმერეთის ეპისკოპოსს გიორგის, გორის ეპისკოპოსს ანტონის, პირველ კლასიკურ გიმნაზიის დირექტორს ლეონარდ ივანეს ძე ზუბალაშვილს, გიმნაზიის კორპორაციას, ჩვენი დათიკოს ამხანაგებსა და ყველას, ვინც პატივი სცა მის ხსოვნას დღეშით, წერილით, ან დასაფლავებაზე დასწრებით.
მღვდ. ეპიფანე და კალერია გრიგოლის ასული ჯაოშვილები. 945

ტელეფ. № 795. ქართული თეატრი ტელეფ. № 795.
კვირას, 28 აპრილს, უკანასკნელი წარმოდგენა. კვირას, 28 აპრილს,
ქართ. მსახიობთა ამხანაგობის მიერ გაზაფხულის სეზონის დასამთავრებლად წარ. იქნება ცნობილი ისტორიული პიესა, 5 მოქ. დრამა ვასილ ყიფიანისა
სამეგრელოს მთავარი ლევან.
სამეგრელოს მთავარი ლევანი—ვალერიან გუნია. დედოფალი—ნ. დავითაშვილი. დარეჯანი—ა. ქიქოძე. მონაწილეობს მთელი დასი. და აწ. სწორედ საღ. 8-ნახ. ს. ადგილების ფასი დაკლებული. რეჟისორი ვალ. გუნია. 1171

ქართული თეატრი
შაბათს, 27 აპრილს, 1913 წ. გაიმართება
═ ქართული კონცერტი ═
ტფილისის ფილარმონიული ქართული საზოგადოებისა.
I განყ. სიუიტა „ივერია“ მ. მ. იპოლიტოვ ივანოვისა, შეასრულებს „ახალი კლუბის“ გაძლიერებული ორკესტრი.
II განყ. მე-3 მოქმედება ქართული ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“ ზ. პ. ფალიაშვილისა. ლიბრეტტო პ. მირიანაშვილისა.
III განყ. ა) ქართული ხალხური სიმღერები და solo ქალ-ვაჟთა ხოროსათვის და ორკესტრისათვის.
ბ) ნაწყვეტები ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“.
მონაწილეობას იღებენ: ქბ. კოლოტოვისა, პრესინსკისა, კოვალენსკისა. ბ. ბ. გოფმანი, დუელი და აგასოვი. ქართული ფილარმონიული საზოგადოების გაძლიერებული ხორო და ახალი კლუბის ორკესტრი—ზ. პ. ფალიაშვილის ლოტბარობით.
ფასები საბენეფისოა
ბილეთების დაკვეთა შეიძლება კასაში. 1154.

მუშტაიდის ბაღი. პარასკევს, 26 და შაბათს 27 აპრილს,
ხარფუხის ქართ. დრამატიულ წრის სასარგებლოდ
☛ გაიმართება სეირნობა ☚
საინტერესო პროგრამით: სათამაშოები პტი-შვო, ტუმბოჩკები, ბორბლები, ჩინური და საბრუნავი ბილლიარდები, სტოლის კეგლი, ნიშანში სასროლი და სხვა. კონფეტტისა და სერპანტინის ბნევა. ყვავილები და ვარდები, ილლიუმინაცია. მაშხალები უდასო სინემატოგრაფი. სიმებიანი ორკესტრის ორი ხორო. ✦ შესვლა უფასოდ. დასაწყ. საღ. 5 ს.
თუ ავდარი იქნება, სეირნობა გადაიდება 29 და 30 აპრილისათვის.
248 ადმინისტრატორი გ. შათირიშვილი.

დოქტორი მედიცინისა, ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი
წამლობა ძლექისა, იღებს შინაგან სნე. ძლექთა და გულით ავადმყ. წამლობა ტუბერკულინითა, რადიის პრეპარატებით და პნევმოტორაქსით. იღებს ყოვ.-დღ. ახალ ბინაზე დილ. 9—1 ს. და საღ. 5—8 საათ. ადრესი: ხოლოდნაია. ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. კუთხე).
ტელეფ. № 7—93. 97
დილის 9—10 ს. ღარიბების მიღება უფასოა.

კვირას, 28 აპრილს, 1913 წელს
ქართულ თეატრის დარბაზში
ბ. ი. ნაკაშიძე წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე:
„გონივრული აღზრდა-განათლების საფუძველი“
ეს ლექცია დანიშნული იყო 25 მარტისთვის, მაგრამ არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალების გამო გადაიდო.
მოკლე შინაარსი: რა არის აღზრდა-განათლება? თანამედროვე ოჯახი და სკოლა. ახალგაზდობის ზნეობრივი რყევის მიზეზები. თავის მოკვლა ახალგაზდათა შორის და ამ მოვლენის მიზეზი. აღზრდა-განათლების ძირითადი რეფორმების საჭიროება. მომავალ ოჯახის და სკოლის იდეალი. ახალი სკოლის მაგალითები ევროპაში და რუსეთში, კავშირი მომავალ სკოლისა და ოჯახ შორის. 25 მარტისთვის აღებული ბილეთები გამოდგება 28 აპრილისთვის ბილეთები ძლიერ დაკლებულ ფასებში იყიდება თეატრის კასაში.
დასაწყისი დილის 12 საათზე. 1175.

ხელის მოწერით გამოიცემა ე. ზოლას
„ქვა-ნახშირის მთხრელები მაღაროებში“
ი. გ. აბაშიძის ნათარგმნი.
დაკვეთა შეიძლება: ტფილისში—ქ. შ. წ.-კ. გამ. საზ. წიგნის მაღაზიაში და სინოდალ. კანტ. დავით ნახუცრიშვილთან, თელავში თელავის ქ. შ. წ.-კ. განყოფილების წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში—მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში და კანტორა „იმერეთში“, ხონში—ხონის ქ. შ. წ.-კ. განყოფილების წიგნის მაღაზიაში, სამტრედიაში—სამტრედ. ქ. შ. წ.-კ. განყ. წიგნ. მაღაზიაში და ნაცვალიძესთან, გორში—ქეთევან ჯავახიშვილის ასულთან, სოხუმში—ნ. ჯანაშიასთან, კასპში მასწავლ. ბურჯანაძესთან, ოზურგეთში—მ. თალაკვაძეს და სტ. კალატოზიშვილის წიგნის მაღაზიაში, ზესტაფონში—პლატონ კიკნაველიძის წიგნის მაღაზიაში, ჩოხატაურში—სილიბისტ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში, ბათომში—წიგნის მაღაზია „განთიადში“, სიღნაღში—ნიკო ახმეტელაშვილთან.
„ქვა-ნახშირის მთხრელები მაღაროებში“ „მოამბის“ ზომისა (400 გვ.) იქნება და წინასწარის დაკვეთით ეღირება 60 კ. მხოლოდ გასაყიდი ფასი იქნება 1 მან. 1107

ტფილისის კერძო სამკურნალო
ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.
ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.
ტელეფონი № 590.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | მანსვეტაშვილი ვ. მ. ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>მაღალაშვილი გ. გ. სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12 ½—1 ს.<br>ფედოროვი ე. გ. ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.<br>ექ.-ქალ. ენგელ მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა. სამ., ხუთ., შაბ. 11—12 |
| ქირურგ. სნეულებანი. | მარკევიჩი ვ. ლ. კონსულტაცია ყოველ დღე 11½—12½.<br>მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1.<br>ფირადოვი რ. ბ. ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშ. სნეულებანი | ექიმი ქალი ვერბიცკი-ფირადოვისა ლ. ყოველ დღე 11—12.<br>თიკანაძე ი. ე. ყოველ დღე 1—2.<br>მელიქიშვილი ნ. მ. ყოველ დღე 10—1.<br>სულაკოვი ა. ი. ყოველ დღე [illegible] |
| ბავშვთა სნეულ. | ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედ ბრიშვილისა ყ.-დღე, გარდა ოთხშ. [illegible]<br>მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1.<br>ფედოროვი გ. ს. ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექ | გედევანიშვილი. მ ა. შაბათობით 10—11.<br>ჯავახიშვილი ნ. ნ. ოთხშ., პარას. და კვირას 11—12<br>ფონდოევი გ ს. ყოველ დღე 1—2 |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | ათენიანცი ნ. ა. ყოველ დღე 12½—1½.<br>ორემბოვსკი ნ. ს. ყოველ დღე 1½—2. |
| თვალის სნეულ. | მუსხელიშვილი ვ. ს. ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. ავ. | დიასამიძე ა. ნ. ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

ვაგზლის კერძო სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
ე. ს. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.
ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.
ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½.
ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ საათ.
ვოროზიევი. შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.
ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.
წამლობა „606“-ით. 1053

საგურთალოზე
☛ მშვენიერ ალაგას, ☚
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

ქბილის ექიმი ა. გ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოთი 5—7 ს.-მდე. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ექიმი შ. ა. მიქელაძე. იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებათ ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6.

ბუფეტი „სატივო“
ყოველ ჟამს ცოცხალი თევზი.
✦ აზიური საჭმელები ახალის სანოვაგისა ✦
ვიკვეთამთ სადილებს, ვახშმებსა და პიკნიკებს, რომლისათვისაც გვაქვს დიდი აივანი 100 სულზე მეტისთვის. ფასები ძლიერ ზომიერია. 1114


# სახელმწიფო სათათბირო
(დეპეშათა პეტერბურგის სააგენტო)

## 24 აპრილის სხდომა.

**თავ. ვოლკონსკი** თავმჯდომარეობს.

იხილავენ კანონ-პროექტს: შეიცვალოს სამოქალაქო სამართლის წარმოების ორგვარი წესი ჩვეულებრივი ანუ საერთო და შემოკლებული, ერთი წესით; მიეცეს შეღავათიანი პირობები დამამტკიცებელ საბუთების თავის დროზე წარსადგენად და შემცირდეს სააპელაციო და საკასაციო საჩივრების აღძვრის ვადა.

მომხსენებელი **როძევიჩი**; კანონ-პროექტს მხედველობაში აქვს დააჩქაროს სასამართლოს საქმეების მსვლელობა და საქმის წარმოების ერთგვარი რიგი შემოიღოს. საჭიროა დამამტკიცებელ საბუთების წარმოდგენაში ორი მხარის თავისუფლება რამდენადმე შეიზღუდოს. თუ თავის დროზე არ იქნება შეტანილი, დამნაშავე მხარემ სასამართლოს ხარჯის გადახდა უნდა იკისროს, მიუხედავად იმისა, თუ ბოლოს მოგებულიც დარჩება. აპელაციის ვადა ერთს თვემდე მცირდება, ხოლო კასაციის ოთხთვიანი ვადა ორ თვემდე. კომისიამ მიზნის შესაფერისად იცნო, რომ სახაზინო სამართველოების საქმეებიც ახალ წესს დაუქვემდებარონ; კომისია წინადადებას აძლევს სათათბიროს, გამოსთქვას სურვილი, რათა სამინისტრომ გადაათვალიეროს საერთო საქმის წარმოების ის ადგილები, რომელიც სახაზინო სამართველოებს ეხება და თვისი წესები საერთო წესებს დაუქვემდებაროს; აგრეთვე სამინისტრომ ღონისძიება უნდა მიიღოს, რათა საქმის გარჩევა ჩქარი იყოს; კომისიამ ისიც აღნიშნა, რომ ხშირად საქმის წარმოების გაჭიანურება მოსამართლეთა შემადგენლობის სიმცირით არის გამოწვეული.

**აჯემოვი**. მიზანი, რომელიც სამინისტრომ დაისახა, ამ კანონპროექტით, ფრიად პატივსადებია. ამის საჭიროება ფრიად მომწიფებულია. ამ გზას ადგია დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა კანონმდებლობა. შესაწყნარებულია აგრეთვე საქმის წარმოების შეცვლაც ერთგვარის წესით. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ საქმის გაჭიანურების მთავარი მიზეზი სასამართლოს შტატების სიმცირეა; ხშირად არის ისეთი შემთხვევა, როდესაც სასამართლოს თითო წევრზე წელიწადში 150 სადავო საქმე მოდის.

მუხლობრივ განხილვის წინადადება ერთხმად მიიღეს. მუხლთა მთელი რიგი უკამათოდ მიიღეს, ხოლო 309 მუხლი კი—სამინისტროს რედაქციით. მსჯელობენ მესამე წიგნზე—საერთო სამოქალაქო საქმეთა წარმოებიდან გამონაკლისზე. იუსტიტიის მინისტრის ამხანაგი **ილიაშენკო** საჭიროდ სთვლის პროცესუალურ გამონაკლისებს.

**აჯემოვი** ამის წინააღმდეგია.

საკითხს კენჭი უყარეს. წიგნი კომისიის რედაქციით მიიღო სათათბირომ.

უკამათოდ მიიღეს კანონ-პროექტი, რომლითაც საჭიროდ არის ცნობილი რათა გილზების ფაბრიკებში დანიშნონ გილზების დამთვლელნი.

უკამათოდ უარჰყვეს ერთი პროექტი. ამ კანონპროექტით ითხოვდნენ სემირეჩინსკის ჯარის სამართველოს მოხელეთათვის ჯამაგირის მომატებას და ტოპოგრაფიულ და გეოდეზიურ ჟურნალის გამოცემისთვის ფულის გაღებას.

**რიჩკოვი** მოახსენებს სათათბიროს კომისიის დადგენილებას, რომლითაც სასურველად არის ცნობილი საკანონმდებლო მოსაზრება, წვრილი კრედიტის კორესპონდენციის საფოსტო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ.

**საფოსტო და სატელეგრაფო მთავარ სამართველოს უფროსი** აცხადებს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ვერ იკისრებს ზემოხსენებულ კანონ-პროექტის შემუშავებას, რადგანაც იგი ეწინააღმდეგება არსებულ კანონის ძირითად მუხლებს.

კენჭის ყრით საკანონმდებლო მოსაზრება სასურველად იცნეს.

**გრ. ბობრინსკი** კითხულობს საკანონმდებლო მოსაზრებას, რათა ხაზინამ მისცეს 120.000 მ. 1813 წ. ლეიპციგში დახოცილ მეომართა საფლავზე ძეგლის აგების დასამთავრებლად.

სამხედრო სამინისტროს კანცელარიის უფროსმა განაცხადა, რომ სამინისტრო იკისრებს მოსაზრების შემუშავებისას.

სათათბირომ მოსაზრება სასურველად სცნო.

**ნოვიკოვი მეორე** კითხულობს საკანონმდებლო მოსაზრებას, რათა შემოიღონ ქალთა საფაბრიკო ინსპექცია. მომხსენებელი ამის საჭიროებას ამტკიცებს.

**მალინოვსკი**. მუშა ქალები გაცილებით ცუდ პირობებში იმყოფებიან, ვიდრე კაცები. ისინი მოკლებულნი არიან ყოველსავე საშუალებას თვისი ეკონომიური და პოლიტიკური უფლებების დასაცავად. საჭიროა მათ მდგომარეობას ყურადღება მიექცეს. სოც.-დემოკრატებს არ აკმაყოფილებს არსებული საფაბრიკო ინსპექცია, მაგრამ მაინც მხარს დაუჭერენ ამ მოსაზრებას.

ვაჭრობის სამინისტროს სამრეწველო განყოფილების გამგე აღნიშნავს, რომ საფაბრიკო ინსპექციის მოხელეებს კისრად აწევთ ტეხნიკურ თვისების მოვალეობა, მათთვის ფრიად საჭიროა დიდი ტეხნიკური მომზადება; ამისთვის საფაბრიკო ინსპექტორებად უმაღლეს სწავლა დამთავრებულთ იღებენ. მაგრამ ისეთი ქალები, რომელთაც შეეძლებათ ტეხნიკური მოვალეობის ასრულება, რუსეთში ჯერ-ჯერობით არ მოიპოვება, რადგანაც ქალთა ტეხნიკური განვითარება მხოლოდ ახლაა განზრახული. მეორე მხრით ტერიტორიის სიფართოვისა და სამრეწველო დაწესებულებათა გაფანტულობის გამო, უწყება იძულებული იყო ისეთ სისტემისთვის მიემართა, რომელიც ინსპექტორთა პირად შემადგენლობის დიდ ეკონომიას იძლევა. თუ ამ მოსაზრებას მივიღებთ, მაშინ ძირიანად უნდა შეიცვალოს ეს სისტემა და გაორკეცდეს, ან გასამკეცდეს საფაბრიკო ინსპექციის შემადგენლობა. წმინდა პრაქტიკულის, და არა პრინციპიალურის, მოსაზრებით უწყება ვერა კისრულობს ზემოდ მოხსენებულ მოსაზრების შემუშავებას. უწყება დიდის ყურადღებით ეკიდება ამ საკითხს და ეცდება სხვაგვარი მიმართულება და გადაწყვეტილება მისცეს მას. ცნობილია, რომ მუშათა საკითხი მსხვილ მრეწველობის დარგში


ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო
მიხ. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი
ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 191

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს ხაშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; გახსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედ. ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი ქუთაისში ვ. თ. ტყეშელაშვილი. ათ აპრილიდან ღებულობს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან შესახვევში. 1130

გარკვეულია, მაგრამ წვრილ მრეწველობის დარგში ფრიად დახავსებულ კანონებით ვსარგებლობთ. უწყებას განზრახვა აქვს გააუმჯობესოს მუშათა მდგომარეობა წვრილ სამრეწველოებში.

**ნოვიკოვი მეორე** უპასუხებს: ჩვენი კანონმდებლობა არ მოითხოვს საფაბრიკო ინსპექტორებისაგან განსაკუთრებით ტეხნიკურ ცოდნას. მთავრობამ ინსპექტორებად მოიწვია მარტო ტეხნიკოსები. მაგალითად დაასახელა არა ტეხნიკოსი იანჟული, რომელიც სამაგალითო ინსპექტორიაო. ქალებს შეძლება აქვთ მიიღონ ტეხნიკური განვითარება. მთელ რუსეთში განზრახულია მხოლოდ 40 თანამდებობა ქალთა ინსპექციისა. მოლაპარაკე მოითხოვს, მუშათა კომისიას გადაეცეს ეს მოსაზრება.

**როძევიჩი** და **მალინოვსკიც** იცავენ საკანონმდებლო მოსაზრებას. სათათბირომ, 77 ხმით, წინააღმდეგ 64-სა, მოსაზრების შემუშავება სასურველად სცნო და მუშათა კომისიას გადასცა იგი.

შემდეგი კრება 29 აპრილს მოხდება.

## სახელმწიფო საბჭო

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

24 აპრილის სხდომა.

**აკიმოვი** თავმჯდომარეობს.

**ზინოვიევ მეორის** წინადადებით, შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ შეტანილ კანონ-პროექტი, სახალხო სიფხიზლისათვის ახალი ორგანიზაციის მოწყობის შესახებ, ცალკე კომისიას გადაეცა. წევრთა არჩევა პირველ მაისს მოხდება.

**სახალხო განათლების მინისტრი** განმარტებას იძლევა საბჭოს მიერ შეტანილ შეკითხვაზე, შესახებ ტულოპოვის და შესტაკოვის სახელმძღვანელოს, „ნოვ“-ისა. შეკითხვის პირველი ნაწილი ამბობს: რა გარემოებამ აიძულა სამეცნიერო საზოგადოება განათლების საერთო კანონების წინააღმდეგ სახელმძღვანელოდ პირველ დაწყებითი სასწავლებლებში „ნოვ“-ი შემოეღო. მინისტრმა სთქვა: სამეცნიერო კომიტეტი კი არ იწონებს, არამედ სასწავლებლებში სახმარებლად იღებს სახელმძღვანელოებს. ამ ორი მცნების შორის დიდი განსხვავებაა. კომიტეტი დიდის სიფრთხილით მოეკიდა „ნოვ“-ს. ჯერ კიდევ 1908 წ. იმავე შემდგენლებმა წარადგინეს „ნოვ“-ი; კომიტეტმა იგი მიზნის შესაფერისად სცნო; წიგნი მოკლებული იყო ნაციონალურ ტენდენციას და გონივრულ პასუხს იძლევა რუსეთის ისტორიის საკითხებზე. მინისტრმა სთქვა, რომ არც ერთ მოლაპარაკეს, რომელნიც კრიტიკულად ეკიდებოდნენ სახელმძღვანელოს, არ მოუყვანია მისი უვარგისობის შესაწყნარებელი საბუთი. მინისტრმა მოიგონა მილიუკოვის სიტყვები, საბიუჯეტო კომისიაში წარმოთქმული 1912 წელს, რომ სამეცნიერო კომიტეტი დარაჯია, რომელიც მიჩენილია კარებთან და თუ მან თვისი სისასტიკე შეინარჩუნა, სასწავლებლებში მხოლოდ ნაციონალურ კლუბის გამოცემებს შემოიღებენო; ბელოუსოვს უთქვამს: სამინისტრო აფერხებს სწავლა-განათლების საქმეს. საზოგადოდ სამინისტრო საყვედურს ვერ ასცდება: მას ხან სისასტიკეს უსაყვედურებენ, ხან ლმობიერებასო. სამინისტრო ცდილობს კარგი სახელმძღვანელოები მიაწოდოს სკოლებს. მას ესმის თვისი მოვალეობა, რომ არა მარტო მავნე წიგნები ჩამოაცალოს არამედ შესაფერიც მიაწოდოსო. ძნელად თუ ვინმე მოიწონებს იმ სურვილს, რომ თვით სამინისტრომ გამოსცეს მთელ რუსეთისათვის სახაზინო სახელმძღვანელო. საეჭვოა, რომ ამ მონოპოლიურმა შრომამ ნაყოფი გამოიღოს. რაც შეეხება შეკითხვის მეორე ნაწილს, რა ზომების მიღებას აპირებს სამინისტრო, რათა ჩამოაშოროს პირველ დაწყებით სასწავლებლებს „ნოვ“-ი, მინისტრი ამბობს, რომ სამინისტრომ შეკითხვამდე ყურადღება მიაქცია ამ სახელმძღვანელოს. სამეცნიერო კომიტეტმა, 1912 წელს, იანვარში დაადგინა, რამდენიმე შესწორება შეეტანა წიგნში და ეს შესწორებანი გამომცემლისათვის აეძულებინა. გარდა ამისა, ყაზანის სამასწავლო ოლქის მზრუნველმა „ნოვ“-ი არა სასურველ სახელმძღვანელოდ იცნო.

დასასრულ მინისტრმა განაცხადა: დღე-დღეზე სახელმძღვანელოს წარუდგენენ სამეცნიერო კომიტეტს ხელ-მეორედ განსახილველადო.

**ანდრეევსკი.** შეკითხვის მიზანი საყვედური კი არ იყო, არამედ ის, რომ ყურადღება მიექცია მთავრობას სწავლა-განათლების საქმისთვის. როდესაც ცხოვრება ვითარდება, სწავლა-განათლება სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ, სამეცნიერო კომიტეტის პასიური მოქმედება შეუძლებელია. მოლაპარაკე იძლევა მორიგ საკითხებზე გადასასვლელ ფორმულას: სამეცნიერო კომიტეტმა „ნოვ“-ის მიღებით დაარღვია თვისი მოვალეობა და სამინისტრო უნდა სცდილობდეს სასწავლებლებში ერთგვარი სახელმძღვანელოები შემოიღოს.

**ოლდენბურგი.** მინისტრის უკანასკნელმა სიტყვებმა ფრიად გამაკვირვა. მოლაპარაკე სრულიად მეტად სთვლის „ნოვ“-ის ხელმეორე განხილვას, მის წინააღმდეგ შეკითხველებმა ერთი შესაწყნარებელი საბუთიც არ მოიყვანეს. ყველაზე უმჯობესი იქნება უმოტივოდ მორიგ საკითხებზე გადასვლა.

**ტაგანცევი** ცენტრის ჯგუფის სახელით წინადადებას იძლევა: მორიგ საკითხებზე უბრალო ფორმულით გადავიდეთო.

59 ხმით, წინააღმდეგ 57-სა, საბჭომ ტაგანცევის წინადადება მიიღო და ანდრეევსკისა უარჰყო.

განსაკუთრებულ კომისიის მოხსენებით მიიღო სათათბიროს თაოსნობით აღძრული კანონპროექტები, რომელთა შემუშავება არ იკისრა სახალხო განათლების სამინისტრომ. კანონპროექტები ეხება: სამზრუნველო საბჭოს შემადგენლობის შეცვლას, საქალო სავაჟო გიმნაზიების, რეალურ სასწავლებლის და პროგიმნაზიების წესდების ზოგიერთ დებულების შეცვლას და საერთო განმანათლებელ სასწავლებლების დამფუძნებელთა უფლების გაფართოვებას. პირველი კანონპროექტი ზინოვიევ მეორის რედაქციით მიიღეს, დანარჩენი ორი კი კომისიის რედაქციით. ყოველივე შესწორება უარჰყვეს. პირველ კანონპროექტის განხილვის დროს **ზინოვიევმა მეორემ** სთქვა: სათათბიროს ჰსურს რა სამზრუნველო საბჭოში საზოგადოებრივი ელემენტები შეიტანოს, დაადგინა დანიშნოს საბჭოში მუდმივ წევრებად ორი წარმომადგენელი გუბერნიის ერობისა და ქალაქისა; კომისიამ საჭიროდ არ სცნო, საბჭოში მუდმივ წევრება ყოფნა და დაადგინა: წარმომადგენლებმა მაშინ მიიღონ მონაწილეობა საბჭოში, როდესაც საქმე შეეხება ცალკე გუბერნიებს და ქალაქებს. საბჭოში იმ გუბერნიების და ქალაქების წარმომადგენელნი დაესწრებიან, რომელთაც ეხება განსახილველი საქმე. რადგანაც საზოგადოებრივ ელემენტის შეტანა სამზრუნველო საბჭოში ფრიად მნიშვნელოვანია, მოლაპარაკე წინადადებას იძლევა: შეაერთონ ორი აზრი — სათათბიროსი და კომისიისა, ე. ი. დანიშნონ სამზრუნველო საბჭოში მუდმივ წევრებად ორ-ორი წარმომადგენელი ერობისა და ქალაქისა, საცა ამგვარი საბჭო არსებობს, და მიეცეს წევრის უფლება გუბერნიის ერობის და ქალაქების წარმომადგენლებს, როდესაც საქმე უკანასკნელთ შეეხება. მომხსენებელი **იზვოლსკი** აცხადებს, რომ ზინოვიევის რედაქცია შესაწყნარებელიაო.

მეორე კანონ-პროექტის თაობაზე მომხსენებელი **იზვოლსკი** ამბობს: კომისია არსებითად ეთანხმება საშუალო სასწავლებლებში, განსაკუთრებით კერძო პირთა გიმნაზიებში და სარეალო სასწავლებლებში, სამზრუნველო საბჭოს დაარსების სარგებლობას, მაგრამ ზოგიერთი შესწორება შეიტანა. კომისიამ ნაადრევად ჩასთვალა სამზრუნველო საბჭოში მოსწავლეთა მშობლების წარმომადგენლის შეყვანა. კომისიამ შეუძლებლად ჩასთვალა ვაჟების და ქალების ერთად სწავლა, რადგანაც ეს საკითხი ფრიად რთულია და მისი ზერელე გადაწყვეტა მავნებელიაო.

**ვასილიევს** შესწორება შეაქვს სამზრუნველო საბჭოს წევრთა რიცხვში, რომელთაც საზოგადო დაწესებულებანი ირჩევენ.

**იზვოლსკი** ამბობს, რომ კომისია სამზრუნველო საბჭოს წევრთა რიცხვს ოთხით რომ ჰზღუდავდა, მხედველობაში ჰქონდა უზრუნველეყო საბჭოს შრომის და მუყაითობის უნარი. მშობლების წარმომადგენელნი იმიტომ არ შეუშვა კომისიამ, რომ საბჭოს წმინდა მეურნეობის ფუნქციები აქვს. მშობელთა წრეების მოვალეობა კი ჯერ-ჯერობით არ არის შემოფარგლული და განსაზღვრული.

**გალიცინ - მურავლინ** კომისიის აზრს იცავს. მშობელთა წრეები განსაკუთრებულ წელს, 1905 წ. დაარსდა; ეს ფრიად უნაყოფო ცდად გამოდგა; ზევრგან იგია წყარო უწესრიგობისა. გიმნაზიის მშობელნი — ფრიად დიდი მოთხოვნილების პატრონია და ანტიპედაგოგიური ელემენტია. ჩვენი პედაგოგთა უმრავლესობა — თვის საქმის მოყვარულნი არიან. მათი საქმეებში ჩარევა მხოლოდ საქმის ვნებასა და აწეწ-დაწეწვას მოიტანს. ვასილიევმა კიდევ ერთი შესწორება შეიტანა, მაგრამ საბჭომ უარჰყო.

მესამე კანონ-პროექტის თაობაზე **იზვოლსკიმ** სთქვა: კომისიამ შეუძლებლად სცნო ოთხკლასიან კერძო სასწავლებლების გახსნა და ვაჟებისა და ქალების ერთად სწავლება.

**ვასილიევი** მოითხოვს ქალთა და ვაჟთა ერთად სწავლებას. ამ ცდამ სხვა სასწავლებლებში და მხარეში კეთილი ნაყოფი გამოიღოო.

**იზვოლსკი** სახაზინო სასწავლებლები ცდის ადგილი არ არის.

სამივე კანონ-პროექტი კომისიის რედაქციას გადაეცა ხელმეორედ განსახილველად.

შემდეგი სხდომა პირველ მაისს მოხდება.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **პანაშვიდი.** კვირას, 28 აპრილს, განსვენებულ მოღვაწის არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალების მე-40 დღეს, დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად.

✦ **სტიპენდიები.** ქალაქის საბჭოს კომისიის მცირე კომისიამ შეიმუშავა პროექტი იმ დებულებისა, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ ქალაქის მოურავად ნამყოფ თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის სახელობის სტიპენდიების განაწილების დროს. პროექტს კომისია დღეის კრებაზე განიხილავს. დღესვე კრება განიხილავს სასკოლო კომისიის ინსტრუქციის პროექტს.

✦ **ქალაქის საკრედიტო საზოგადოების** თავმჯდომარემ ვ. ო. ღამბაროვმა ამ თანამდებობას თავი დაანება.

✦ **სახალხო განათლება ჩვენში.** ამას წინად ბ-ნმა დ. მ. დუმბაძემ სახელმწიფო სათათბიროს წევრს ვ. გელოვანს გაუგზავნა მასალები, რომელიც შეეხებოდა საერთო სახალხო განათლების შესწავლასა და კერძოდ რუსულ ენის გამეფების ისტორიას ქართულ სკოლებში. მასალები შეიცავდა ყველა განკარგულებას და ცირკულიარს რომელიც ამ საგნის, გამო გამოუციათ კავკასიის სამასწავლო ოლქის მზრუნველებს ნევეროვიდან დაწყებული ახლანდელ მზრუნველ რუდოლფამდე. ბ-ნ გელოვანს ეს აუარებელი მასალა უჩვენებია პეტერბურგელ ცნობილ მოღვაწეთათვის, რომელთაც მასალები დიდად საყურადღებოდ უცვნიათ. გუშინ ბ-ნმა დუმბაძემ წინადადება მიიღო პეტერბურგულ გაზეთ „შკოლა ი ჟიზნ“-ის რედაქციისაგან, ითანამშრომლოს ამ გაზეთში. რედაქცია ჰპირდება, ფართო ადგილს დავუთმობთ ყველა იმ წერილს, რომელიც შეეხება კავკასიისა და კერძოდ საქართველოს სკოლების მდგომარეობასაო.

✦ **გლეხთა მიწათ-მფლობელობის,** კერძო სანადელო მიწების მოწესრიგების საქმის რიგიანად დასაყენებლად, მიწათ-მოქმედებისა და მიწათ-მოწყობის სამინისტროს მთავარ-გამგის კავკასიის რწმუნებულმა შემდეგი გეგმა შეიმუშავა: მიწათმომწყობმა დასებმა (ოთხია) უნდა იცხოვრონ მუშაობის დროს თავ-თავის გუბერნიებში და არა ტფილისში, როგორც დღემდე იყო, რადგანაც ტფილისში ყოფნა და აქედან ცნობების მოკრება დიდს დროს თხოულობს და ცნობებიც რიგიანად შემოწმებული არ იქნება. რადგანაც ამ ჟამად სამუშაო მხოლოდ ტფილისისა, განჯისა და ერევნის გუბერნიაშია, ამიტომ დასები ასეა განაწილებული: ორი ტფილისისაში, სადაც ბევრი მოუწყობელი სოფელია და თითო დასი განჯისა და ერევნის გუბერნიაში. დასებს მუშაობის გათავების შემდეგ ტფილისში შეუძლიანთ ცხოვრება. დასები მოვალენი არიან, თავის მოქმედების გეგმა და პროგრამა ყოველ-წლივ გუბერნატორებს წარუდგინონ, როგორც ადგილობრივი პირობების უკეთესად მცოდნეთ, რომელნიც შესაფერ ცვლილებას, ან დამატებას შეიტანენ.

✦ დღეს 26 და ხვალ 27 აპრილს მუშტაიდში გაიმართება **სეირნობა,** რომელსაც აწყობს ხარფუხის ქართული დრამატიული წრე თავის საშუალებათა გასაძლიერებლად. შესვლა უფასოა.

✦ **მასწავლებელ ქალთა თავშესაფარის** შენობა თითქმის სულ მზად არის. შენობის კურთხევის დღე ჩქარა დაინიშნება. დღეს მასწავლებელ ქალთა საზოგადოება შეიმუშავებს წესებს, რომლითაც იხელმძღვანელებენ თავშესაფარში მოხუც და დაუძლურებულ მასწავლებელ ქალთა მიღების დროს.

✦ **ფრინველთა გამოფენა** ფრინველთა მომშენებელმა კავკასიის საზოგადოებამ დაადგინა, გაჰგზავნოს თავისი ინსტრუქტორი ბ-ნი ტროფიმოვი ფრინველთა მესამე მორიგ გამოფენაზე, რომელსაც გორში მართავს (9-დან 12 მაისამდე) საზოგადოების გორის განყოფილება. ბ-ნმა ტროფიმოვმა გამოფენაზე მიმსვლელთ უნდა უჩვენოს და განუმარტოს წიწილების გამოსაჩეკი და სხვა მანქანები.

✦ **თავის მოწამვლა.** 24 აპრილს კარბოლის სიმჟავით თავი მოიწამლა ევა მინდიაშვილისამ. (40 წლისამ) მიზეზი ოჯახური უსიამოვნება ყოფილა.

✦ **რომანოვთა გვარეულობის სამასი წლის მეფობის გამო,** როგორც ვწერდით, ქალაქის საბჭომ დაადგინა, 30,000 მან. დარჩენილი გადასახადი აპატიოს ქალაქის ღარიბ მცხოვრებლებს. ქალაქის გამგეობას ფულის პატიება წერილობით სთხოვა მრავალმა პირმა. თხოვნების მიღების ვადა გავიდა და ახლა გამგეობის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტების საშუალებით ადგილობრივ ამოწმებს მთხოვნელთა ქონებას იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად საბუთიანია მათი თხოვნა.

✦ **ყალბი სასწორები.** სავაჭრო-სამეურნეო მეთვალყურემ ხარაზიანმა ქალაქის მესამე უბანში გუშინ თერთმეტ სავაჭრო დაწესებულებაში ყალბი სასწორები და გირები აღმოაჩინა, შეადგინა შესაფერი ოქმები და დამნაშავეთა სია ქალაქის გამგეობას წარუდგინა.

✦ **სასმელ წყლის ძებნაში.** ამას წინად თიანეთის მაზრის მემამულემ ბ-ნმა შანშიევმა ქალაქის გამგეობას წინადადება მისცა: სასმელი წყალი გაიყვანეთ ჩემი მამულიდან, სადაც საუკეთესო წყაროები მოიპოვებაო. ქალაქის გამგეობამ გუშინ დაადგინა: წყაროების გამოსაკვლევად თიანეთის მაზრაში საგანგებო ექსპედიცია გაგზავნოს მომავალ კვირაში. ექსპედიციაში შევლენ: ქალაქის ქიმიკოსი გ. გ. ალიბეგოვი, ქალაქის წყალსადენის გამგე, ინჟინერი გ. ხ. ქურდიანი, ხმოსანი ინჟ. ა. ს. ბაბოვი და სხვა სპეციალისტები.

✦ **ცეცხლის მქრობელ თავისუფალ საზოგადოების** სასარგებლოდ 5 მაისს „მიძოზა“ ს ბაღში დიდი სახალხო სეირნობა გაიმართება.

✦ **სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისთვის** გუშინ ქალაქის მეათე და მეთორმეტე უბანში 15 ოქმი შეადგინეს ყასბებსა, მეპურეებსა და სხვა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მეპატრონეებზე.

✦ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად დაუმტკიცებიათ ამას წინად ამ თანამდებობაზე არჩეული კონსტანტინე ნიკოლოზის ძე თავ. აფხაზი.

✦ **ტრ. რამიშვილის პიესა „საბედისწერო დამბაჩა“** რუსულად გადათარგმნეს და 26 აპრილს სახალხო სახლში წარმოადგენს რუსული წარმოდგენის მმართველი სექცია.

✦ **ერევნის პოლკის დასახვედრად** ქალაქის გამგეობა გუშინვე შეემზადა. პარაკლისზე, რომელსაც დღეს ერევნის მოედანზე გადაიხდიან, მოიწვია მრავალი მანდილოსანი და საზოგადოებათა და დაწესებულება-

# ბალკანეთის ომი

და

# ევროპის დიპლომატია

(წერილი სტამბოლიდან)

დიდი ხანია, რაც ოფიციალური ევროპა განსაკუთრებით ყურადღებას აპყრობდა მაკედონიაში არსებულ ანარქიას და ათას-გვარ დადგენილების ძალით ცდილობდა დაეჯერებინა ოსმალეთის მთავრობა, რათა ამ პროვინციაში საჭირო რეფორმები შეეტანა. მაგრამ ევროპის ყველა ღონისძიება, მაკედონელთა ცხოვრების გასაუმჯობესებლად გამოწვეული იყო არა წრფელი სურვილით, არამედ უფრო თავისი სინიდისის ფორმალურად დაკმაყოფილებისათვის. ფრიად მძიმე იყო ის უღელი, რომელიც აწვა ამ კუთხის მცხოვრებთ მთელი საუკუნოების განმავლობაში შემზარავი იყო ძახილი შველისათვის. მაგრამ ევროპას არასოდეს ფიქრადაც არ მოსვლია ნამდვილად განეხორციელებინა თვისი ოფიციალური დადგენილებანი და წამალი დაედო მაკედონელთა ჭრილობისათვის. დღემდე ევროპის კეთილ-განზრახვანი და ოსმალეთის დაპირებანი ცარიელ სიტყვად რჩებოდა და მაკედონელთა საცოდავ მდგომარეობას ბოლო აღარ უჩანდა, დღეს ყველასათვის ცხადია, რომ ევროპას შეეძლო თავიდან აეცილებინა ბალკანეთის აწინდელი სისხლის ღვრა, რომ მას მართლა სდომებოდა მშვიდობიანობით საქმის მორიგება: მაგრამ მან არ უღალატა ამ შემთხვევაშიაც თავის ჩვეულებრივ გაიძვერა პოლიტიკას და ომის წინ პილატესავით ხელი დაიბანა, მისცა რა ორივე მოპირდაპირე მხარეს რჩევა, რომ როგორმე მორიგებულიყვნენ უომრად. ოფიციალური ევროპა შესცდა, საქმე სულ სხვანაირად დატრიალდა, ვიდრე ეს გათვალისწინებული ჰქონდათ დიპლომატებს. ეჭვს გარეშეა, მთელი ევროპა დიდ მნიშვნელობას არ აძლევდა ბალკანეთის სახელმწიფოთა საომზადისს და მათ მობილიზაციას ქონდრის კაცების ფაფხურად სთვლიდა, რომელნიც, რასაკვირველია, ვერ სძლევდნენ ძველ გმირს და მას კვლავინდებურად მოუხდებოდა მედიატორის უფლებებით ჩარევოდა საქმეებში, რომ შეენახა ეგრედწოდებული status quo და მუდამ ხელები ეფათურებინა ოსმალეთისა და ბალკანეთის შორის არსებულ განწყობილებაში.

მაგრამ, როგორც ვსთქვით, ოფიციალურ ევროპის მოლოდინი არ გამართლდა. ვინღა ფიქრობს ახლა ომის წინად არსებულ მდგომარეობის აღდგენაზე, ვინღა ოცნებობს მაკედონიისა და რუმელიის დანგრეულ ციხეებზე კვლავ ძლეულ დროშის აფრიალებას? გაჰქრა სამუდამოდ ოსმალეთის მიწა-წყლის ხელის შეუხებლობის პრინციპი და მასთან ერთად დავეწყების უფსკრულში დაიმარხა ნაქები status quo. ევროპა ძალაუნებურად უნდა შეურიგდეს საქმეთა ვითარებას. მართალია ეს სრულიად არ ეგუება მის მუდამ გაუმაძღარ მადას, ვინაიდან თვით დიდი სახელმწიფონი ოსმალეთს სულთმობრძავ ავადმყოფად სთვლიდნენ და დღეს თუ ხვალ, მოელოდნენ მის მემკვიდრეობის განაწილებას.

ევროპის სახელმწიფოთა უთანხმოება ერთის მხრით და ოსმალეთის შინაური არეულობა მეორე მხრით არის უმთავრესი მიზეზი აწინდელი ომიანობისა, ოსმალთა განადგურებისა და ბალკანეთის ერთა განთავისუფლებისა.

ბერლინის კონგრესის შემდეგ, როდესაც შემუშავდა სხვა და სხვა რეფორმა, რომელიც ოსმალეთს უნდა განეხორციელებინა მაკედონიაში, სულთნების პოლიტიკა დამონავებულ ერთადმი სრულებითაც არ შეცვლილა. ევროპა კარგად ჰხედავდა ყველა ამას, მაგრამ საქმეში აქტიურად ჩარევას სიჩუმეს არჩევდა. 1908 წელს, როდესაც ოსმალეთის მთავრობის ბარბაროსობამ, რომელიც საუკუნოებით მეფობდა მაკედონიაში, თავის ჩვეულებრივ საზღვარს გადააჭარბა, ევროპის დიპლომატია კვლავ გამოვიდა თავის განურჩეველ მდგომარეობიდან და კვლავ შეიქმნა ლაპარაკი რეფორმების ახალი ნუსხის შემუშავებისათვის. მაგრამ აბდულ ჰამიდის მოულოდნელმა ჩამოგდებამ და კონსტიტუციის გამოცხადებამ კიდევ ერთხელ შეაჩერა სახელმწიფოები.

როდესაც ოსმალეთში კონსტიტუცია გამოცხადდა, ყველას ეგონა, რომ ამ სახელმწიფოს ახალი ცხოვრების ხანა დაეწყო და მის პროგრესიულ განვითარებას აღარაფერი შეუშლიდა ხელს. მაგრამ, რამდენადაც დიდი იყო მოლოდინი, იმდენად უფრო საგრძნობელი იყო მისი გაცრუება. ოსმალეთში შეიცვალა გარეგანი სახელმწიფოებრივი სახე, მაგრამ შინაარსი იგივე დარჩა. ძმობა, ერთობა და ერთსულოვანი მუშაობა სამშობლოს საკეთილდღეოდ, რომელთაც ჰპირდებოდნენ ახალგაზდა თურქები ქრისტიანებს, მარტო უშინაარსო ლამაზსა და მომხიბლავ სიტყვებად დარჩა და უფრო დასამშვენებლად იყო შეტანილი მათ პროგრამაში, ვიდრე სერიოზული განზრახვით. ან კი რახაირად შეიძლებოდა დაძაბუნებულ და სიკვდილის პირამდე მისულ სახელმწიფოს ასეთი უეცრივი გარდაქმნა ფენიქსისამებრ. ვიდრე ოსმალეთის სახელმწიფოს ძირითად საძირკვლად თეოკრატიული პრინციპი უდევს და სულთანი ითვლება ფადიშაჰად ე. ი. მთელი მუსულმანობის სულიერ მბრძანებლად, ყურანი თავის დღეში ნებას არ მისცემს ოსმალოს გიაური — ქრისტიანი — თავის თანასწორად ჩასთვალოს და ყველა მოქალაქეობრივი უფლება მიანიჭოს.

თუ ამას მივუმატებთ აგრეთვე მთავრობის ზნეობრივ დაცემას და ადმინისტრაციის მექრთამეობას, მაშინ ადვილი გასაგები იქნება ის უმთავრესი მიზეზი, რომელიც ღრღნის ოსმალეთის სახელმწიფოს.

ახალი მთავრობა არამც თუ არ შეეცადა განეხორციელებინა საჭირო ეროვნული რეფორმები, არამედ ვერც კი შესძლო შეეცვალა მის წინად არსებული შეხედულება სხვა ერებზე. ამისათვის ყველა შეთანხმება და მორიგება მასთან შეუძლებელი გახდა. ევროპამაც ყური წაუგდო კვლავინდებურად

ვინაიდან მთელი ახლანდელი საერთაშორისო პოლიტიკა მარტოდ მარტო ქიშპობის ღერძზე ტრიალებს, ამიტომ ევროპას სრულიად დაავიწყდა 1908 წლის დაპირებანი ოსმალეთის ერებისათვის, როდესაც მან დაინახა, რომ მას დრო ჰქონდა ესარგებლნა სახელმწიფოებრივი წესწყობილების შეცვლით და თავისი ეკონომიური ინტერესებისთვის მაგარი ნიადაგი მოეპოვებინა. ევროპის სახელმწიფონი თავაზიან ნოქრებივით ერთმანეთს აღარ აცლიდნენ და ცდილობდნენ ახალგაზდა ოსმალებისთვის თავისი დახმარების სამზადისი გამოეცხადებინათ და ხელში ჩაეგდოთ რკინის გზის კონცესიები, ჯარისა და ფლოტის მოწესრიგება, ფინანსიური და მრეწველობის საქმე და სხვა.

გავიდა სულ ცოტა ხანი, „კონსტიტუციონურ“ წესწყობილების დამყარების შემდეგ — და ოსმალეთის ძველმა განუკურნელმა სენმა კვლავ თავი იჩინა. ეს იყო ალბანელების აჯანყება, როდესაც ცნობილმა მაჰმუდ შეფკეთ ფაშამ სისხლის მორევებში ჩაახრჩო მათი სამართლიანი მოთხოვნილებანი. ამას მოჰყვა ადანის ელეტა. **სხვა დროს** ამგვარი მოვლენა ევროპას ძილს დაუფთხობდა ხოლმე, ახლა ევროპამ ყური მოიყრუა და ოფიციალური: Arangez vos affaires vous mêmes-ით, თითქოს დასტურს აძლევდა ახალგაზდა თურქთა მოქმედებას და იმეორებდა მნიშვნელობა-დაკარგულ სიტყვებს ოსმალეთის ხელშეუხებლობაზე, რომელიც ვითომ შეურყეველ დოგმათ იყო ცნობილი; მართალია, ოსმალეთის დაქუცმაცების პროცესი სწორედ ამ დოგმის ბერლინის კონგრესზე (1878) მიღების შემდეგ დაიწყო. გავიხსენოთ რუსეთისა და ოსმალეთის ომი და მისი შედეგები; ინგლისელების მიერ ეგვიპტის და კუნძული კვიპროსის ხელში ჩაგდება; ავსტრიელებისაგან ბოსნია და ჰერცოგოვინას მისაკუთრება; ფრანგებისაგან სირიაში ხელის ფათური, იტალიის მოქმედება მეწამულ ზღვაში და ბოლო დროს ტრიპოლიტანიის შეერთება. ყველა ეს ამ ქებულ დოგმის არსებობის დროს მოხდა. დოგმა მკვდარ სიტყვად რჩებოდა, ხოლო ევროპის დიდი სახელმწიფონი კი თავის საზღვრებს აფართოვებდნენ და ოსმალეთს თანდათანობით აჰრიდნენ საუკეთესო ნაწილებს, მაგრამ ასეთი მოქმედება ევროპის სახელმწიფოთ სამართლიანად მიაჩნდათ. თუ ბალკანეთის ერები ხმას აიმაღლებდნენ, მაშინ მთელი დიპლომატია ერთ აურზაურს შექმნიდა და დოგმაზე მოროთავდა ყვირილს. გავიხსენოთ ევროპის დიპლომატიის კრიმანჭობისა ერთი მაგალითი, რომელიც ტრიპოლის ომის დაწყების წინ მოხდა — ეს არის მინისტრის სან-ჯულიანოს ცირკულიარი ბალკანეთში იტალიის დიპლომატიურ წარმომადგენლებთან მიწერილი:

„იმ მუდმივ წინააღმდეგობას, რომელსაც ოსმალეთი უწევს იტალიის ეკონომიურ კანონიერ მოქმედებას ტრიპოლიტანსა და კირენაიკაში და იმ განსაცდელს, რომელიც მოელის ჩვენ თანამემამულეთ ამ პროვინციებში, შეუძლიანთ ადრე თუ გვიან, აიძულონ მთავრობა საჭირო ზომების მიღებისთვის, რასაც შესაძლებელია მოჰყვეს შეტაკება იტალიასა და ოსმალეთს შორის“.

„იტალიის მთავრობამ გადასწყვიტა მოაწესრიგოს ტრიპოლის საკითხი ისე, როგორც ამას მოითხოვს იტალიის ინტერესები და ღირსება; მაგრამ რანაირიც უნდა იყოს ეს ზომები, იტალიის პოლიტიკის საძირკვლად ყოველთვის დარჩება status quo'-ს შენახვა ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე და ევროპის ოსმალეთის ზურგის გამაგრება“.

„ამისათვის ჩვენ არამც თუ არ გვინდა გამოვიწვიოთ ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე რამე მოძრაობა ოსმალეთის წინააღმდეგ, არამედ გადავწყვიტეთ, გავაორკეცოთ ჩვენი ცდა **რომ ხელი შევუშალოთ ყველა ამ გვარ განზრახვას და**

თა წარმომადგენელი. გუშინ ერევნის მოედანზე სამღვდელოებისთვის დასადგომი ადგილი დაამზადეს: დაიწყეს ფიცრები და მორთეს.

✦ ქალაქის გამგეობის წევრმა მ. ნ. ათაბეგოვმა შეადგინა მოხსენება ამ **საგანმანათლებლო და საქველმოქმედო საზოგადოებათა** შესახებ, რომელსაც ქალაქი ნივთიერ დახმარებას აძლევს. ბ-ნი ათაბეგოვი საბჭოს ურჩევს შემწეობანი შეუმციროს ხსენებულ საზოგადოებებს, რადგანაც ქალაქის კასა ნივთიერად ცუდს მდგომარეობაშია.

✦ **შემწეობა.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა განსვენებულ ექიმის ს. ს. ისტამანოვის ოჯახობას პენსია დაენიშნოს: მეუღლეს—900 მან. და იმის ქალიშვილს—თითოს 450 მან. წელიწადში. როცა რომელიმე მათგანი გათხოვდება, პენსია მოესპობა. დადგენილება პენსიათა და შემწეობათა განმანათლებელ კომისიას გადაეცა თავის აზრის წარმოსათქმელად.

✦ **ალექსანდრეს სახელობის საავადმყოფოს** ორდინატორად ქალაქის გამგეობამ დროებით მიიწვია ექიმი ი. ე. მულაიანცი.

✦ **საბირჟო ცნობები.** 25 აპრილის შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ—85 მან. 70 კ., აძლევენ—85 მ. 50 კ., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა; აფასებენ—83 მან. 55 კ., აძლევენ—82 მ. და ქუთაისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—79 მან. 25 კ., აძლევენ—78 მან.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას** ატყობინებენ: სეტყვასთან საბრძოლველი ზარბაზნები კახეთში აქვთ მხოლოდ საუფლისწულო მამულში და ზოგიერთ სასოფლო საზოგადოებას. ზარბაზნები დღემდე კარგად ასრულებს თავის დანიშნულებას. სოფ. რუისპირში, სადაც სასოფლო საზოგადოებას 14 ზარბაზანი აქვს, მცხოვრებლებმა ისე აიცრუეს გული ზარბაზნებზე, რომ სულ აღარ ხმარობენ, რასაც შეიძლება მეტად ცუდი შედეგი მოჰყვეს. სოფლის ზოგიერთ მეურნეს აზრად აქვს, გამოიწეროს ეგრედ წოდებული „რაკეტები“, რომელსაც ამ ჟამად საფრანგეთში ხმარობენ სეტყვის წინააღმდეგ.

✦ **სავაჭრო ბანკის** აქციონერთა კრება დანიშნულია 27 აპრილისთვის, საღამოს 8 საათზე, ბანკის სადგომში. კრებამ თანამდებობის პირნი უნდა აირჩიოს.

✦ **ექიმთა და ბუნებისმეტყველთა მე 13 კრებაზე** გაიმართება, სხვათა შორის, სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, რომლის მოწყობასაც კისრულობს კრების მომწვევ ბიუროს საგრონომიო სექცია. ამ სექციამ კრებისთვის წარსადგენად დღემდე 30 მოხსენება მიიღო სასოფლო მეურნეობის შესახებ.

✦ **სახალხო უნივერსიტეტის** გამგეობამ დაადგინა 28 აპრილს ორი ლექცია გამართოს საზოგადოების ნივთიერ ღონისძიებათა გასაძლიერებლად. სახალხო სახლში წაიკითხავს ქართულად აკაკი ტყემალაძე შემდეგ თემაზე: „ქალთა საკითხი“ დასაწყისი დილის 11 საათზე. სამკურნალო საზოგადოებაში წაიკითხავს სომხურად ექიმი მელიქ-ნუბაროვი შემდეგს თემაზე: „ავადმყოფობათა მიზეზები“. დასაწყისი ნაშუადღევის 1 საათზე.

## სასწავლებლებში

✦ **თათრული საქალაქო სკოლა** აქ ჟამად პუშკინის სახელობის საქალაქო სკოლასთან არსებობს. ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიას აზრად აქვს, ეს სკოლა ცალკე გამოჰყოს.

✦ **ქალაქის სახელოსნო სასწავლებელში** ეგზამენები შაბათს, 27 აპრილს, დაიწყება. საერთო საგანმანათლებლო საგნების ეგზამენები დასრულდება 8 მაისს. 4 ივნისს საგანგებო საექსპერტო კომისია შეამოწმებს მოსწავლეთა მიერ შესრულებულ სადურგლო, სახელოსნო, სალითონო და სხვა სამუშაოს. იმ პირთ, რომელნიც ხელოსნების მოწმობას მიიღებენ, ზაფხულში წაიყვანენ ბაქოსა და ტაგანროგში სხვა და სხვა ქარხნის დასათვალიერებლად.

## სოფლად.

✦ **იგუეთი** (გორის მაზრა), 20 აპრილს, საღამოს, ვიღაც უცნობი შეიარაღებული პირნი თავს დაეცნენ აქაურს მცხოვრებს ლადო ზაალიშვილს და რევოლვერით მოჰკლეს.

# მუშის მოგონება

ჩვენთვის, ზოგიერთ მუშებისთვის, მუდამ ნათელი და სასიხარულო იქნება ის მოგონება, როდესაც, მრავალი საკითხით დაინტერესებულებმა, შევაღეთ კარი არჩილის მყუდრო სადგომისა. მარად ცხოველი და დაუმჭკნარი იქნება იმ წუთის განცდა, როდესაც პირველად ვიხილეთ არჩილი, მისი, ღრმა ფიქრის გამომხატველი, შავი თვალები, მაღალი, ნათელი შუბლი; ჟამთა მსვლელობა უძლურია დაგვავიწყოს ის ტკბილი მეგობრული საუბარი, რომლითაც გაგვიმასპინძლდა არჩილი ჩვენ, მუშებს; და იგი საუბარი აკი იმისთვისაც აღვიბეჭდეთ ღრმად გულის ფიცარზე, და აკი ამიტომაც შეიქმნა იგი ჩვენი სულის საზრდოდ.

ამ ოთხი წლის წინად გულჩათხრობილი გამოვეშურე ბაქოდან და პირველად ვიხილე ჩემთვის ჯერედ უცნობი დედა ქალაქი ტფილისი. ტფილისის ნახვამ დამიამა საკუთარი წყლული და ტკივილი, გამიქარვა სევდა და სიცოცხლისადმი სიყვარულმა ჩემში მძლავრად გაშალა ფრთები, მაგრამ იგი აღფრთოვანება და ზეიმი ჩემი სულისა ფრიად დღემოკლე გამოდგა, სულ ორ დღეს გასტანა. დიახ, ორი დღის შემდეგ ერთ პატარა ქარხანაში ვიშოვნე დღიური სამაზაზიანი სამუშაო.

ამ დღიდან იწყება ჩემი ნამდვილი გაცნობა ტფილისისა. ამ დღეს ტფილისმა გადიხადა ჩემს წინაშე საიდუმლოების ქურქი და თითქოს მითხრა: სასიხარულო არაფერი გაქვს, გულუბრყვილო, შენ გხიბლავს გარეგანი სილამაზე ჩემი. აბა ჩაიხედე, თუ რამ მძიმედ ვარ დაღარული და დაკოდილი. მისი სახე მაღონებდა ტკივილებს მიძლიერებდა დ ტანჯვას განუზომლად ჰხდიდა; რა გულსაკლავი, რა უშნო და რა უხამსი იყო ტფილისი მაშინ ჩემს თვალში. ეროვნულ სიდუხჭირეს სირაქლემის ფეხები გამოება და ისე სასტიკად მიბრიალებდა თვის მკრეხ თვალებს, რომ მისი ერთი შეხედვა გულსა და სულს სასტიკად სჩხვლეტავდა. მაგრამ უფრო დამაღონებელი, სევდის აღმძვრელი იყო სულის სრული სიმარტოვე და სიობლე. ვერავინა ვნახე მუშათა შორის ისეთი, რომელსაც ჩვენი ცხოვრებით გული ასძგერებოდა და ამით მეგრძნო მასთან სულის სინათესავე. თუ ლაპარაკში ჩავერევოდი, თუ ვეცნობოდი მათი გულის საიდუმლოების ფარდის ახდას, ღმერთო ჩემო, რას არ მიწოდებდნენ, რა სახელით არ მომნათლავდნენ! აზრთა სხვადასხვაობა უსიამოვნებად გარდაიქცეოდა ხოლმე და უსიამოვნება კი ულმობლობად.

მაგრამ მე მაინც მრწამდა, მჯეროდა, და ყოვლად შეუძლებელიც იყო გადამეჯერებინე ვისმე, რომ ქართველი მუშის ამგვარი მდგომარეობა მხოლოდ დროებითია და წარმავალი, იგი სწორე გზას არის აცდენილი და მოვა დრო, იპოვნის გზას, ნამდვილს და შესაფერს. ჩემი იმედი არ გაცრუებულა და ყოველი დღე ამისი დამამტკიცებელია.

ბევრი მღელვარების, სულის ტანჯვის შემდეგ მეც ვიპოვნე თანამოაზრე მეგობრები მუშებში. არ ვიტყვი რომ აზრთა სხვადასხვაობა სრულიად მოსპობილიყოს ჩვენში, მაგრამ ჩვენ გვაერთებდა ორი ძლიერი რამ და ამითაც იყო კავშირი ჩვენი მტკიცე და შეურყეველი: ეროვნული და კლასობრივი თვითგამორკვევა. ამისთვის საჭირო იყო ჩვენი ცხოვრების ღრმა შესწავლა, მომზადება. გვსურდა აგრეთვე ლიტერატურის და ცხოვრების დაჯგუფება ფართო მასისთვისაც ხელმისაწვდენი გაგვეხადა. რჩევისთვის და დახმარებისთვის მივმართეთ ცნობილ ინტელიგენტებს, ვითხოვეთ ხელმძღვანელობა; მაგრამ იმ დროით ვერავინ გაგვიწია მესვეურობა, დახმარება არ აღმოგვიჩინა: მხოლოდ გვირჩიეს დავკმაყოფილებულიყავით კერძო ჯგუფობრივ თვით-განვითარებას.

ჩვენც დავიწყეთ ლიტერატურის შესწავლა და აზრთა გაზიარება.

ამან სულით აგვამაღლა. ჩვენს წინაშე ბევრი საკითხი აღიძრა, წამოგვიყენა ახალი და ძველი, რომლის პასუხის გაცემაც ჩვენ თითონაც ვერ შევძელით. გამოითქვა სურვილი არჩილთან წავსულიყავით. ვიცოდით ის გაგვიფანტავდა ყოველივე ეჭვს. გვწამდა, ის შესძლებდა მღელვარე საკითხების ნათელ გადაწყვეტას, გვჯეროდა და ვაფასებდით მის გულწრფელობას. მხოლოდ ერთი გარემოება გვაბრკოლებდა. ჩვენში არჩილს პირადად არავინ იცნობდა.

ბოლოს ვძლიეთ ეს დაბრკოლებაც; წასვლა გავბედეთ.

არჩილი მაშინ ვერაზე სცხოვრობდა. კრძალვით, გაუბედავათ შევაღეთ არჩილის ოთახის კარი, და რაც დავინახეთ ჩვენი წარმოდგენის სრული წინააღმდეგი იყო. ჩვენ გვეგონა, არჩილი დამტკბარია ოჯახის სიტკბოებით, გვეგონა არჩილი განცხრომით სცხოვრებდა, მაგრამ მოვსტყუვდით. არჩილს ერთი ოთახი ეჭირა; სუფთად მოწყობილ ლოგინზე ჩამომჯდარიყო სამწუხარო, მრავალ მეტყველი ქანდაკება; იგი მკაცრი სენით დაავადებული, ბრჭყალებ გაკრული იყო, მაგრამ მისი მრავალ-მეტყველი, ფიქრის ზღვა თვალები კი მის მებრძოლ სულს ამხელდა. არჩილის დანახვამ ორგვარი გრძნობა აღგვიძრა—სიყვარული მტკიცე სულისა და სიბრალული დარღვეულ სხეულისა. და ამ ორმაგმა გრძნობამ ენა დაგვიბა. დაგვავიწყა რისთვის მოვსულვართ და რა უნდა გვეთქვა. არჩილიც გაჩუმებული იჯდა და თვისი ლმობიერი თვალი ჩვენთვის მოეპყრო. ბოლოს უხერხული დუმილი თვით არჩილმა დაარღვია და სასიამოვნო ხმით შეგვეკითხა: „რას მიბრძანებთო?“

ამ სიტყვებით გამოვერკვიეთ და აუხსენით ჩვენი მოსვლის მიზეზი.

„კეთილი და პატიოსანი—გვიპასუხა არჩილმა,—„აბა რას მეტყვით?“

პირველად გავაცანით არჩილს ჩვენი თვითგანვითარების მისწრაფება. არჩილს სიამოვნების ელფერმა გადაჰკრა და სთქვა: „მუშამ რომ წმინდად შეიგნოს თვისი მიზანი, ყოველდღიური საჭიროება და მოვალეობა, ამას მხოლოდ ლიტერატურულის თვით-განვითარებით შესძლებსო“. არჩილს გაუზიარეთ ჩვენი დღიური გულის ტკივილი, რომელიც იმ დროს მეტად იყო გამწვავებული, სახელდობრ, უცხო ტომთა გადმოსახლება ჩვენს მიწა-წყალზე და მისი დატაცება. ამ კითხვამ ფრიად მწვავე ხასიათი მიიღო და მუშებშიაც აზრთა სხვა და სხვაობა დაჰბადა: ეხლა თქვენგან მოველით პასუხის ნათელ-გამუქებას.

აქ არჩილი თვალებში ჩაგვაცქერდა და თითქოს გვეთქვას მისთვის, ისე მეტყო ჩვენი გამოუცდელობა და აჩქარებული მღელვარება.

არჩილმა მეტის-მეტი დამამშვიდებელი კილოთი დაიწყო ლაპარაკი: „ეგ საკითხი ყველა ჩვენგანისთვის ფრიად საგულისხმოა და თქვენც, მუშებმა, აუცილებლად ყურადღება უნდა მიაქციოთ; მაგრამ სასოწარკვეთილება და სხვა ამგვარი რამე ახლოს არ უნდა გაიკაროთ. თუ ჩვენი გაზეთი ამ საკითხის თაობაზე ძლიერის სიმწვავით სწერს, იმიტომ, რომ თქვენში აღძრას მიმქრალი ეროვნული გრძნობა.

ჩვენი გაზეთი ბევრს სასიამოვნოსაც გვამცნებს. ბევრ ალაგას ჩვენმა გლეხებმა მიწები შეიძინეს, თუმცაღა ეს პროცესი სასურველად არა ჰხდებაო. ბევრ ადგილს გლეხები შეუდგნენ მეურნეობის გაუმჯობესებას. ჩვენს ეროვნულ თვითცნობიერებაშიაც წინ მივდივართ. ამას თქვენი აქ მოსვლა და მსჯელობა ამტკიცებს. თქვენი მოვალეობაც ის არის, არ ასცდეთ ამ გზას, და ეცადოთ თქვენი შეხედულება საერთო გახდეს; ეხლანდელი დრო თქვენს გონებრივ განვითარებას ითხოვს. ეხლა თუ ასცდებით ამ გზას, თქვენს მოვალეობას უღალატებთო“.

არჩილმა გვირჩია მივვემართა ბიბლიოთეკისთვის, წაგვეკითხა ძველი ჟურნალ-გაზეთები, აგვეღო ნოეს პოლიტიკური და ეკონომიური ნაწერები, ისიც გვითხრა, რომ ჩემი ნაწერებიც წიგნად ამ ახლო ხანში გამოვაო, საცა უმთავრესად ეროვნული კითხვის მასალა მოიპოვებაო. გაეცანით ორივე მხარის ლიტერატურასო. რაც შეეხება ჩვენს მოწინაამდეგეებს, ისინიც, ვფიქრობ, შეიცვლიან თვის აზრს და საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიას აღიარებენო.

სულით დამშვიდებულნი და დაწყნარებულნი, მრავალი ფიქრით აღჭურვილნი გამოვეთხოვეთ დინჯს, მტკიცესა და გულწრფელ არჩილს. არჩილმა გვთხოვა ხშირად შევვლოდით ხოლმე.

არ გასულა ბევრი ხანი, რომ, ორი კითხვით დაინტერესებულნი, კვლავ ვეწვიეთ არჩილს. მეორედ არჩილმა ალერსიანად მიგვიღო.

„აბა, რას მეტყვით ახალს? რა ხდება გარეთ, საზოგადო ცხოვრებაში და კერძოდ თქვენს ცხოვრებაში?“.

„მთელი ცხოვრების, აბა, რა გავგვება! ჩვენი ცხოვრების შესახებ კი ცოტაოდენი რამ გვაქვს სათქმელი. ვუპასუხეთ. შევეკითხეთ: „რანაირი უნდა იყოს ჩვენში ქართველ მუშათა მოძრაობა დღევანდელ პირობებში და რანაირი ფორმით უნდა მოხდეს მისი განვითარება მომავალში?“.

ავუხსენით ჩვენს ბაზარზე მოწოლილი იაფ-ხელფასიანი მუშათა გაძლიერება; ვუთხარით, რომ ისინი ბევრს დარგში გვამარცხებენ. ჩვენი კლასიური ბრძოლაც ბევრ ალაგას ქართველ მუშის ეროვნულ დევნად გამოიყენეს: ვამცნეთ ისიც, რომ ამ მოვლენას დღეს-დღეობითი ხასიათი არ აქვს, იგი განვითარების პროცესშია. ამ მოვლენის ასაცილებლად ვერ ვხედავთ ჩვენს ეროვნულს, პოლიტიკურსა და ეკონომიურ ცხოვრებაში ისეთს ძალას, რომელიც თავდაცვაში დახმარებას გაგვიწევდეს: რამდენადაც ჩავუკვირდით ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ მიმდინარეობას, იგი ძალიან ხელს უწყობს ქართველ მუშის შევიწროვებას შრომის ბაზარზე და თუ ასე გაგრძელდა საქმე ცუდ მომავალსაც გვიმზადებს და, უფსკრულის პირას გვაყენებს.

დუმილი.

წყნარის და გამომეტყველების სახით შემოგვანათა თავისი ღრმა თვალები და წყნარი ხმით წარმოსთქვა: „აი, ნამდვილი საკითხი, რომელიც ითხოვს ჩვენი ცხოვრების ძლიერ ღრმა დაკვირვებას ამ საკითხის პასუხი ფრიად ფრთხილი, ფრიად გაზომილი და მოფიქრებული უნდა იყოს. აქ ფილოსოფია და მეცნიერება იმდენად არ გამოდგება, რამდენადაც თვით მოვლენის მიზეზის სწორი და მიუდგომელი შესწავლა. კარგი იქნებოდა, რომ ამ საკითხის შესწავლა თქვენთან ერთად შემძლებოდა. პასუხის გაცემის იმედიც მექნებოდა. ეხლა კი ყოველ საქმის ახლო დაკვირვებას მოკლებული ვარ, ყოველ-დღიურ მოვლენას მხოლოდ გაზეთის საშუალებით ვეცნობები. თქვენ მიერ დასმული კითხვა ზედმიწევნით შესწავლას ითხოვს, მაგრამ არა უშავსრა; ეს საკითხი აღნიშნეთ მიუდგომელი ფაქტებით და მე გადმომეცით. ვეცდები თქვენი კანონიერი სურვილი და თხოვნა დავაკმაყოფილო“.

სხვა საკითხებთან ერთად არჩილთან სინდიკალიზმის მოძრაობაზედაც გვქონდა საუბარი. მაგრამ როგორ ჩამოვთვალო ყოველივე ის, რასაც იგი შეეხო, რაც ჩვენ გვითხრა.

არჩილი მეტის-მეტად ფაქიზი პიროვნება იყო. ის არ იყო პარტიულ და ფრაქციულ იდეებით გალიზიანებული ინტელიგენტი, ერთხელაც არ შეგვინიშნავს არჩილის მაღალ გონიერებას მოეწადინოს ხელში ჩაბღუჯვა. იგი მეტის-მეტი პატივისცემით ეპყრობოდა ყოველ პიროვნებას. თავის ფიქრთან ერთად იგი სხვასაც აფიქრებდა. იგი მუდამ ამხანაგურად, მეგობრულად გვეპყრობოდა. ჩვენი მსჯელობის დროს, სხვას შორიდან რომ ეყურებინა და მოესმინა, იტყოდა, ეს შეჯგუფებული ხალხი თავისთვის მსჯელობს და ერთი მეორის გავლენას არ განიცდისო.

აი რას გვეუბნებოდა ძვირფასი არჩილი: „ყოველ შემთხვევაში მუშები ძალიან უნდა ერიდნენ სექტანტობას; თქვენ უნდა შეჰქმნათ მუშათა კავშირის მთლიანობა და თქვენვე ჩაუდგეთ მას სათავეში; არასოდეს ჩემისთანა პირები თქვენი თანამშრომლები ვერ იქნებიან. მაშინ გაგიადვილდებათ შეიმუშავოთ საკუთარი შეხედულება და ყოველივე კითხვაც თქვენგან სწორედ იქნება დაფასებულიო. ჩვენი პოლიტიკური ცხოვრება რომ თქვენთვის საყურადღებო ყოფილა, იმაზე მეტად, ვიდრე ჩვენ გვეგონა, ამას თქვენი გადმოცემა მიმტკიცებს. ძალიან სასურველი იქნება „ცნობები დაწერილებით გადმომცეთ“.

ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენი ბირჟის დაწერილებითი ცნობები ვერ მივაწოდეთ სხვა და სხვა მიზეზების გამო. სასურველი კი იყო მოგვესმინა არჩილის სიტყვა ჩვენთვის ცხოველმყოფელ საკითხზე. რამდენიც დრო გავა და ცხოვრებას გავეცნობით, იმდენად უფრო ღრმად და ნათლად დავინახავთ არჩილის ღვაწლს. მწუხარება ყველასთვის დიდია და განუზომელი, მაგრამ მის უკან—შთენილთ არ შეგვშვენის ცრემლით დაგლოვით მოვიგონოთ დიდებული არჩილი. იგი უკანასკნელ წუთამდე იბრძოდა. და მან ამ ბრძოლაში განუტევა სული. არჩილის წმინდა სახელს ცრემლთა ფრქვევა არ ეკადრება. უნდა ავიძრათ ჩვენ არჩილის იმედიანობით და მისგან გაკაფულ გზას ხალისით მივყვეთ.

ერთი მისი მოწაფეთაგანი მუშა ი. ქ.

# ალბანეთი და სახელმწიფოები

**ალბანეთის ანარქია.**

ვენიდან იტყობინებიან, რომ ალბანეთში სრული ანარქიაა გამეფებული. ზოგგან უკვე დაიწყო შეტაკებანი სხვა და სხვა პარტიის მიმდევართა შორის. ეშინიათ ესად-ფაშისა და ჯავიდ-ფაშის ჯარის შეერთებისა. ამბობენ, რომ ჯავიდის რაზმი უკვე შევიდა ქ. ვალონაში. იზმაილ-ქემალის დროებითი მთავრობის ჯარმა მცირე წინააღმდეგობა გაუწია მას, რის შემდეგაც სავსებით დანებდა. ჯავიდ-ფაშამ დროებითი მთავრობა გაუქმებულად გამოაცხადა და მისი წევრები სამხედრო სამართალში მისცა. ესად-ფაშის ჯარის მოწინავე ნაწილი ქ. ტირანოს მივიდა, სადაც ალბანეთის ემირატი გამოაცხადა. ამბობენ, რომ ესად-ფაშისა და ჯავიდ-ფაშის შორის უკვე მოხდა შეთანხმებაო.

**ავსტრიისა და იტალიის გეგმა.**

იტალიის ერთს გამოჩენილ დიპლომატს უთქვამს, რომ ამჟამად სკუტარის საკითხი მეორე რიგში მოექცა. საჭირბოროტო საკითხად დღეს ალბანეთის დამშვიდების საქმე გადაიქცა, რომელიც უეჭველად უნდა მოწესრიგდეს, მიუხედავად იმისა, თუ რაგვარ მიმართულებას მიიღებს სკუტარის საკითხი. ავსტრია და იტალია შეთანხმებულად იმოქმედებენ, რაც პრინციპიალურად უკვე მოგვარებულია. ეტყობა, რომ იწყება ახალი ხანა ბალკანეთის პოლიტიკური ურთიერთობისა.

**ალბანეთის ოკუპაცია.**

ლონდონიდან ცნობაა: დიპლომატების მთელი ყურადღება მიპყრობილია ალბანეთის საკითხს. ჯავიდ-ფაშის მიერ ალბანეთის დროებითი მთავრობის გადაყენება, იტალია-ავსტრიის საზღვარ სამზადისი, განსაკუთრებით კი—დეპეშათა ცენზურის შემოღება იტალიაში, ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ ავსტრია—იტალიას განზრახვა აქვს ალბანეთში ექსპედიციის გაგზავნისა. იტალია, რომელიც ეჭვის თვალით უცქერის ავსტრიის ყოველ ნაბიჯს, ალბად თვითონაც გაგზავნის ჯარს სამხრეთსა და ცენტრალურ ალბანეთში, დაიკავებს ვალონას, სანტიკვარანტას და სხვ. შემდეგ ორივე სახელმწიფო, გარემოების მიხედვით, იძულებული იქნება დაიჭიროს ალბანეთის დროებითი მთავრობის ადგილი. ამრიგად, დაუინტერესებლობის პრინციპის ნასახიც კი აღარ დარჩება.

---

საცდელს. თუ ამ გვარი იმედი ან ოცნება არსებობს ანუ მოსალოდნელია, საჭიროა დაუყოვნებლად გაქარწყლდეს იგი“.

„თქვენ შეუფარდეთ თქვენი ყოფაქცევა და ბაასი **ამ გვარად განზრახულ მთავრობის პოლიტიკას**, რომელსაც კი ამას შემთხვევა მოიტანს“.

აი ნამდვილი ნიმუში ევროპის გაიძვერა პოლიტიკისა. იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრი სან ჯულიანო იმდენად სამართლიანად სცნობს იტალიის ინტერესების არსებობას და დაჩაგვრას ტრიპოლში, რომ ამის გამო ომისთვისაც კი ემზადება, ბალკანელებს კი ფიქრსაც უკრძალავს იმის შესახებ, რაც ერთ დროს მათ ეკუთვნოდა. ამგვარი პოლიტიკის შემწეობით ჩაჰყლაპა იტალიამ ტრიპოლი და კირენაიკა, რომელთა ტერიტორიაც რამდენჯერმე სჯარბობს თვით იტალიის ნახევარ კუნძულის სამფლობელოს. სხვა სახელმწიფოებმა მხარი დაუჭირეს იტალიას და მიუხედავად იმისა, რომ იტალია ფაქტიურად დამარცხებული იყო ოსმალეთისაგან, მათი შემწეობით იტალიამ მიაღწია თავის განზრახულ მიზანს. ვინ იცის, ევროპის დიპლომატია რა ზომებს იხმარდა, რომ კარგად გათვალისწინებული ჰქონოდა ორივე მოპირდაპირე მხრის ძალთა განწყობილება, რათა ხელი შეეშალა. ბალკანეთის სახელმწიფოთა კონფედერაცია მაძღარ ევროპის დიპლომატებს სასაცილოდ არ ჰყოფნიდა და ელოდნენ, რომ ბრწყინვალე პორტა მათ კარგ გაკვეთილს მისცემდა და ჭკუას ასწავლიდა...

რა ჰქნა ამ გოჯის ოდენა სამთავროთა შეერთებულმა ძალამ? ერთი თვის განმავლობაში სრულიად გასწმინდა მტრისაგან მაკედონიისა და თრაკიის მიდამო, სადაც აგერ ოთხი საუკუნეა ოსმალეთი ძალის დატანებითა და სისხლის ღვრით ცდილობდა დაემონებინა ბალკანეთის პატარა ერები.

აზიიდან გადმოსულმა ოსმალებმა, რომელთა ყოფა-ცხოვრება დამყარებული იყო სამხედრო უნარზე, ვერ შესძლეს ძლიერი სახელმწიფოს შექმნა და ვერ გასცდნენ სამხედრო დესპოტიზმს.

მაგრამ თუ ოდესღაც თვისი ეროვნული ჯარის ორგანიზაციის შემწეობით ოსმალეთი ძლიერი სახელმწიფო იყო, ახლა ესვაჟკაცური სულიც დაეცა, გაჰქრა ოსმალოს მეომარი თვისებანი და ჯარის უფროსი ოსმალები უფრო ცნობილნი შეიქნენ თვისი მექრთამეობით, ვიდრე სხვა საჭირო თვისებებით*).

რად გადაიქცა ოსმალეობის ხელში მშვენიერი ედემისებური ქვეყანა, სადაც ერთ დროს ცივილიზაცია ჰყვაოდა და რომელიც კულტურის აკვნად ითვლებოდა მთელი აღმოსავლეთისათვის. ახლა იგი ნამდვილი უდაბნოა. ნუ დაკმაყოფილდებით ოსმალეთის სანაპიროების სანახაობით, რომლის გათახსირებაც ვერ შესძლო, შეიხედეთ ცოტა შიგნით და ცხადად წარმოგიდგებათ შესაზარავი სურათები. ეს მდიდარი და ნოყიერი მიწა უბედურების მეტსარაფერს აღმოაცენებს.

ამ დაქვეითებულ ცხოვრების უფსკრულში მაინც ვერ შედრკა დაჩაგრულ ერების თავისუფლების მაძიებელი სული, რომელმაც სძლია სიბნელე და გამარჯვების სხივები შეაშუქა მის საშინელ წყვდიადში. მას აქეთ რაც მეცხრამეტე საუკუნის ნახევრიდან შეიცვალა ბალკანეთის ერთა მდგომარეობა და დაარსებულ იქნა პატარა სახელმწიფოები, ევროპის დიპლომატებს ძილი გაუფრთხათ. ნაციონალური თავისუფლება იყო ის უებარი იარაღი, რომლის შემწეობითაც ახლად აღორძინებულმა სახელმწიფოებმა შესძლეს 30 წლის განმავლობაში თავგანწირულად ემუშავათ ოთხასი წლის მონობის მოსასპობად, რომ მით თვითონ ჩაბმულიყვნენ განათლებულ ერთა კულტურულ ფერხულში.

რასაკვირველია, ევროპა ძალიან კარგად ხედავდა, თუ ვინ უფრო ღირსი იყო მაკედონიაში დიასახლისობისა—სულიერად და ზნეობრივად უძლური ოსმალეთი, თუ სიცოცხლით სავსე ახალგაზდა სახელმწიფონი,—მაგრამ ბალკანეთის დაჩაგრულ ერთა მდგომარეობა გულცივ დიპლომატიას თავის მოქიშპეობის და უთანხმოების ზვარაკად მიჰქონდა.

სკუტარის აღებით სრულიად დამთავრდა მაკედონია-რუმელიის ომი, მაგრამ საქმე მაინც ჯერ-ჯერობით დაუთავებელი დარჩა, იმავე უკულმართი დიპლომატიის წყალობით. კონსტანტინეპოლი, რომლის აღებაც ბულგარელების ლაშქრისაგან არც ისე ძნელი იყო, კვლავ ოსმალების ხელში რჩება, რადგანაც ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა აუკრძალეს ბულგარელებს შემდეგი გამარჯვებით წინსვლა. ქვეყნის სიმშვიდისათვის კი უთუოდ საჭირო იყო ამ ქალაქის თურქების ხელიდან ჩამორთმევა და მისი ინტერნაციონალიზაცია. შემდეგში, უეჭველია, ცხოვრების საჭიროება ამასაც მოიტანს, ეს მხოლოდ დროს საკითხია. სწორედ რომ ვსთქვათ კონსტანტინეპოლი ახლაც კულტურულად და ეკონომიურად ევროპიელებს უჭირავთ ხელში და **იგი უფრო ევროპის კოლონიას წააგავს, ვიდრე ერთ დროს ძლიერი ხალიფების სატახტო ქალაქს.**

ბალკანეთის ერებმა თავისი ეროვნული თვითარსებობა სისხლით და ცრემლით მოიპოვეს და კაცობრიობის მოწინავე ნაწილი. მათ გამარჯვებას ულოცავს. დღეს თუ ხვალ დიპლომატები მორჩებიან თავის კრიმანჭობით გაჭედილ მოლაპარაკებას და მაკედონიაში მშვიდობა დამყარდება. ეროვნული შემოქმედებითი ძალა შესძლებს კვლავ აღადგინოს ნანგრევებისაგან ფეხქვეშ გათელილი ნაციონალური სახე და ცხოვრებას მოძრავი სული ჩაჰბეროს.

აქამდის ცხოვრების სინამდვილე vae victis პრინციპს ამართლებდა. არ არის არც ერთი ძლიერი ევროპის სახელმწიფო, რომელსაც თავისი სიძლიერე და კეთილდღეობა სხვათა დაჩაგვრაზე და უბედურებაზე არ აეშენებინოს. ყველა მათ მიტომ არ სტკივათ სხვა და სხვა პატარა ერთა უმწეო მდგომარეობისათვის გული, რომ თვითონ, ბუმბულში აქვთ გასვრილი დინგები. მაგრამ ვის შერჩენია და მოუნელებია დაჩაგრულ ერთა სისხლი? მსოფლიოს ისტორიასაც აქვს თავისი კანონები. მხოლოდ ეროვნული სულია უკვდავი და უძლეველი, რომელმაც უნდა ასულდგმულოს საზოგადოება და მისი შემადგენელი პიროვნებანი, თორემ სხვისი მონობით გამდიდრება და პარპაში დროებითი და წარმავალია.

ი. ტ

სტამბოლი, 1913 წ.
27 აპრილი (ახ. სტ.)

*) საყურადღებოა, რომ აწინდელ ბალკანეთი ომში ყველა გამოჩენილნი ჯარის უფროსნი სხვა ტომისანი იყვნენ მაგ. სამხედრო მინისტრი, განსვენებული ნაზიმ ფაშა, ს ზღვათა მინისტრი მაჰმუდ თავდგირიძე, შუქრი ფაშა, ადრიანოპოლის გმირი, რიზა ფაშა, ესად ფაშა, ჯავიდ ფაშა და სხვ.

# თეატრი და ხელოვნება

**ქუთაისის თეატრი.** „ოედიპოს მეფე“ ქუთაისის თეატრში, მისი მოუწყობლობით დ სივიწროვით, ძნელი წარმოსადგენია; ამაში ყველა დამეთანხმება, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ჩვენი, ესრედ წოდებული, „თეატრი“.

ამიტომ ურწმუნო თომასავით ვისმენდი ლაპარაკს, როცა იგი ამ პიესის ძზადებას ეხებოდა და ამ ნაირივე გრძნობით მივდიოდი შაბათს საღამოს თეატრში.

პიესის დამდგმელთ არც შრომა და არც ფული დაეშურებინათ, რომ შესაფერად მოეწყოთ სცენა და პარტერი „ოედიპოს მეფეს“ წარმოსადგენად, მაგრამ „თეატრის“ მოუწყობლობა თავისას შვრებოდა.

წარმოდგენამ მწყობრათ, თითქმის უნაკლულოდ ჩაიარა, ყველამ თავთავის ალაგი იცოდა, ყველას როლი თითქმის ზეპირად შეესწავლა, ყველა ცდილობდა ხელი შეეწყო ანსამბლისთვის და ამიტომ წარმოდგენამ შეკრებილ საზოგადოებაზე განუზომელი შთაბეჭდილება მოახდინა.

ამას უფრო ხელი შეუწყო „ოედიპოს“ როლის ამსრულებელმა ბ-ძა ალ. იმედაშვილმა, რომელიც უნაკლულო იყო როგორც როლის შეგნებით, ისე ოედიპოს სულის კვეთების გამოხატვაში. იმედაშვილი ნიჭიერი, მშრომელი არტისტია და არა ერთხელ დავუტკბივარ ძის თამაშს, მაგრამ შაბათს საღამოს მისმა ხელოვნურმა თამაშმა მოლოდინს გადააჭარბა.

წარმოდგენა ასეთი იყო და მერე რა მიუზღო სამაგიეროდ ქუთაისის საზოგადოებამ იმ პირთ, რომელთაც განუზომელი შრომა გასწიეს „ოედიპოს მეფის„ დასადგმელად? გულგრილობა და სხვა არაფერი. გალერიას თუ მხედველობაში არ მივიღებთ, პარტერიც და ლოჟებიც თითქმის ნახევრად ცარიელია იყო.

ამისთანა პირობებში, რაც უნდა მხნე იყოს კაცი გული წაუხდება და მართლაც გასაკვირველია, რა ძალა ამოქმედებს პატივცემულ ქორელს და მის თანამშრომლებს, რომ ასეთ მედგარ ბრძოლას უწევს საზოგადოების გულგრილობას! სხვა უიმისო ასეთ უიმედო საქმეს თავს მიანებებდა და სხვას მოჰკიდებდა ხელს, მაგრამ სიყვარული ხელოვნებისადმი, როგორცა სჩანს, მეტად დიდია, რომ უიმედობას დაემორჩილოს. მეორე წარმოდგენა „ოედიპოს მეფისა“ 22 აპრილს არის დანიშნული და ვშიშობთ აქაც საზოგადოების გულ გრილობა იჩენს თავს და წარმოდგენის გამმართველნი, არა თუ ჯილდოს თავის შრომისათვის, გაწეულ ხარჯსაც ვერ აინაზღაურებს.

ს. ე. ვ.

# დეპეშები

დეპეშათა პეტერბ. სააგენტო|
25 აპრილი.

## ბალკანეთი და ევროპა

**პრაგა.** გაზეთები უკმაყოფილებას აცხადებენ ცენზურის მეტად გაძლიერებაზე. ყოველ დღე იჭერენ რამდენიმე გაზეთს. „პრავდოლიუდუ“ სწერს: ბოსნიაში განსაკუთრებული წესები შემოიღეს, ჩეხიაში მას საქმით ახორციელებენ. დეპ. კრამარჟი „ნოვა მესტაში“ ამბობს, რომ ვენის მოლვაწე-ხელმძღვანელები არც იმდენად ქარაფშუტები არიან, რომ ანტიჩეხური და ანტისლავიანური კურსი დაიკავონ. ბალკანეთის სლავიანების გამარჯვებას ავსტრია-უნგრეთში უნდა გაეწიოს, მით უმეტეს, რომ იგი თვით შეეცადა, რათა ბალკანეთის საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილიყო. გერმანელთა და სლავიანთა კონფლიქტი, რის შესახებაც ბეტმან-ჰოლვეგი ლაპარაკობდა, შეიარაღების გაძლიერებით კი არ გადაწყდება, არამედ სლავიანთა მიმართ პოლიტიკის აუცილებელი შეცვლით.

**ათინა.** სალონიკიდან იტყობინებიან დაწვრილებით ცნობებს მეფის მკვლელის სიკვდილის შესახებ: $8^{1}/_{2}$ საათ. სხინასი ჟანდარმების თანხლებით გამომძიებელთან მიიყვანეს. სატუსაღოს დარაჯმა ხელზე ბორკილი შეხსნა და მეეტლის გასასტუმრებლად გაბრუნდა. ჟანდარმები ქუჩაში დარჩნენ, ხოლო გამომძიებლის ოთახში დარჩა ორი შიკრიკი, რომელთაგან ერთი დროებით გავიდა სხინასმა ისარგებლა მეორის უყურადღებობით და ათი მეტრის სიმაღლიდან გადავარდა და იქვე განუტევა სული.

**სალონიკი.** სან-ჯიოვანიდან მოვიდა რუსეთის სანიტარული გემი „პეტერბურგი“, რომელზედაც 809 დაჭრილი და ავადმყოფი სერბიელი ჯარისკაცია.

**რომი.** პოლიტიკურ წრეებში სიხარულით ეგებებიან საგარეო მდგომარეობის შეცვლისა და ალბანეთში ავსტრია-იტალიის შეიარაღებულ შეჯრის უკუგდებას. გაზ. „მესაჯერო“-ში ბისოლატი ამტკიცებს, რომ ალბანეთის ექსპედიცია განამარტოებდა იტალიას ევროპაში, რაც ავსტრიასთან შეტაკებასა და მის გამარჯვებას გამოიწვევდა.

**ვენა.** ჩეხების დეპუტატთა კლუბის წარმომადგენლებმა ითათბირეს და საჭიროდ სცნეს დაუყოვნებლად განცხადება შეიტანონ პარლამენტის მოსაწვევად, რადგან პოლიტიკური მომენტი მეტად სერიოზულია. აგრეთვე საჭიროდ სცნეს, გააფრთხილონ მონარქიის გავლენიანი წევრები, რათა მათ საშიში ნაბიჯი არ გადადგან და ბალკანეთის საქმეებში არ ჩაერიონ.

**ბუქარესტი.** სტამბოლიდან იტყობინებიან: სომხეთის საკითხის გამო, როგორც ხმებია, შინაგან საქმეთა მინისტრი ჰაჯი-ადილი თანამდებობაზე გადადგა. მის მოადგილედ ასახელებენ ქალილ-ბეის, პალატის თავმჯდომარედ ნამყოფს.

„ტანინმა“ ალბანელების წინააღმდეგ დაბეჭდა შეურაცხმყოფელი წერილი, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ალბანელ-აფიცრებში ჩათალჯის პოზიციებზე. მთავრობა მალავს მღელვარების ამბავს. საქმის გამოსაძიებლად იქ წავიდა სტამბოლის სამხედრო გუბერნატორი ჯემალ-ბეი.

**სტამბოლი.** ალბანეთის საკითხმა პრესაში და საზოგადოებაში ცხარე მსჯელობა გამოიწვია. უნიონისტების წრეებმა და მათმა გაზეთებმა შემთხვევით ისარგებლეს, რათა ალბანელებთან ძველი ანგარიშები გაესწორებინათ. აცხადებენ, ოსმალეთს აღარ უნდა აინტერესებდეს ეს უმადური მხარეო. მიუხედავად საალყო წესებისა და პრესის წინააღმდეგ მკაცრი ზომებისა, ისმის ხმები უნიონისტების წინააღმდეგ. ოსმალეთის ცნობილმა ისტორიკოსმა მურად-ბეიმ, რომელიც ერთი იმ პირთაგანია, რომლებმაც რუსეთთან დაახლოვების აზრი გამოსთქვეს, წერილი დასტამბა, სადაც რჩევას იძლევა, გრძნობებს ნუ აჰყვებიან, რადგანაც მხარე მშვიდობიანობას თხოულობს, და ალბანელები კი შეიძლება მომავალში ძვირფასნი გახდნენ ოსმალეთისთვის. მურად-ბეი მოძხრეა, რომ ალბანეთის ტახტზე კანნაუტის პრინცი ავიდეს.

სომხები კვლავ აღელვებულნი არიან, რადგანაც ანატოლიიდან ცნობები მოვიდა, ქურთები კვლავ განაგრძობენ სომხების აწიოკებასაო.

ოფიცრების ერთი ჯგუფი, რომელიც სამხედრო ლიგას ეკუთვნის, ნაზიმ ფაშის ოჯახს ჩატალჯიდან წერილი გამოუგზავნა, სადაც ამბობს, ნაზიმ-ფაშის სიკვდილს არ შეარჩენენ და შურს იძიებენ. ნაზიმ-ფაშის ქვრივმა შუამდგომლობა აღძრა, რათა გამოძიება მოახდინონ და მისი ქმრის მკვლელები აღმოაჩინონ.

**ვენა.** ვენის პროგრესიულ დეპუტატებმა თათბირი მოახდინეს, რომელზედაც პროტესტი განაცხადეს ავსტრო-უნგრეთის წინააღმდეგ, რადგანაც ამ უკანასკნელმა დამოუკიდებლად მოქმედება დაიწყო ალბანეთში, ეს კი, შესაძლოა, გამოიწვევს ახლო მომავალში და შემდეგშიაც მძიმე გამწვავებას.

**ბუქარესტი.** ნაციონალისტების კულტურულ ლიგის მიტინგზე ორატორები უკიჟინებდნენ ავსტრიას, რუმინიასა და ბალკანეთში დამარცხებას და ამბობენ: უმჯობესია გულწრფელი მტრის ყოლა, ვიდრე სიტყვის გამტეხი მეგობრისაო, რომელმაც ჩვენში მობილიზაციის მოხდენას ხელი შეუშალა და ამასთან კი ხელს უწყობს ჩვენსა და ბულგარების შორის ანტოგონიზმსაო და სჩაგრავს ჩვენს ძმებს ტრანსილვანიაშიო (და ართმევს მათ?) ავტონომიას, რომელსაც ჩვენ მოვიპოვებთ იარაღითაო. დასასრულ კრებამ დაადგინა, უეჭველად ეცადოს და მოიპოვოს ბულგარების მხრით დაჩაგრული რუმინების თავისუფლების გარანტია.

## რ უ ს ე თ ი.

**პეტერბურგი.** დასრულდა მარკშეიდერების სრულიად რუსეთის კრება. შემდეგი კრება მოხდება ეკატერინოსლავში 1914 წელს.

ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი დაბრუნდა კავკასიაში მოგზაურობიდან.

**პეტერბურგი.** ნაციონალისტებმა სათათბიროში შეიტანეს საკანონმდებლო წინადადება, 175,571 მანეთი გადაიდოს იმ ექსპედიციისთვის, რომელიც ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ უნდა გაემგზავროს.

**პეტერბურგი.** გაზეთ „პრავდას“ № 93 წერილის „კიდევ იმის გამო“-ს გულისათვის აკრძალეს.

**მოსკოვი.** ქალაქის გამგეობას მოსკოვის ქალაქის უფროსმა აცნობა, არც ერთი არჩეულ კანდიდატთაგანი ქალაქის მოურავად დამტკიცებული არ იქნებაო.

**ასტრახანი.** სარატოვის უნივერსიტეტის პროფესორებმა ელტონის ტბის სამკურნალო თვისებები შეამოწმეს და აღმოაჩინეს, რომ ამ ტბას მლაშე ტალახს დიდი რადიოაქტიული ძალა აქვს.

**პროსკუროვი.** საერობო კრებამ სურვილი გამოსთქვა, რომ ქალაქებში მოეწყოს განსაკუთრებული თავშესაფარები, სადაც მოათავსებენ ხულიგნებს და ძალად ამუშავებენ მათ.

## ს ა ზ ღ ვ ა რ - გ ა რ ე დ

**ბერლინი.** დაბადების სამოც-დაათის წლის თავზე, გაზეთის „ბერლინელ ტაგებლატი“-ს პატრონმა მოსსემ, ბერლინელ დაუძლურებულ მოხუცთათვის დასახმარებელ კაპიტალის დასაწყისებლად, ერთი მილიონი მარკა შესწირა.

**ლონდონი.** სუფრაჟისტებმა ყუმბარები დააწყეს წმ. პავლეს ეკლესიაში და „დეილი ნიუს“ რედაქციაში, გადასწვეს ლონდონის ჩრდილო მხარეს სახლი, სადაც არავინ სცხოვრობდა, გოლფის სათამაშო კლუბის პავილიონი სამხრეთ ნაწილში და ორი სააგარაკო სახლი ბერკსგილლში. ყველა საზოგადო დაწესებულებათა სადგომებში განსაკუთრებული ზომებია მიღებული მიმსვლელთა დასათვალიერებლად. ამის გამო სასახლეები და მუზეუმები დაკეტილია. წმ. პავლეს ეკლესიაში აღმოჩენილი ყუმბარა დინამიტით გატენილი აღმოჩნდა. მეხანიზმის უვარგისობამ, ყუმბარის აფეთქებას ხელი შეუშალა, თორემ ეკლესია დანგრეული იქნებოდა.

**ლონდონი.** ქვედა პალატამ, 266 ხმით 219-ს წინააღმდეგ, უარჰყო ქალებისათვის საარჩევნო უფლებების მინიჭების ბილლი.

# სპორტი

## დ ო ღ ი.

24 აპრილს საჯირითო მოედანზე მესამედ გაიმართა დოღი. მოღრუბლული იყო და ბევრს წვიმისა შეეშინდა. ამის გამო ხალხი იმდენი არ დაესწრო, რამდენიც წინედ. სულ ხუთი შეჭენება იყო.

პირველ შეჭენებაში ერთმანეთს შეეჯიბრნენ თავ. პ. ბებუთოვის „ალმაზონი“ და თავ. ნ. მხეიძის „ნიტუში“. ჯილდო სამასი მანეთი იყო ტფილისის საერობო თანხეზიდან, მხოლოდ იმ ცხენთათვის, რომელნიც ტფილისში არიან დაბადებულნი. თავიდანვე პირველი მიდიოდა „ნიტუში“; მხოლოდ სულ ბოლოს დანიშნულ ბოძისაგან 50 საჟენის მანძილზე „ალმაზონმა“ ნახევარი ტანით გაუსწრო „ნიტუშს“ და წაართვა პირველი ჯილდო 211 მან., „ნიტუშს“ ერგო მეორე ჯილდო 60 მ. ორი ვერსის მანძილი „ალმაზონმა“ გაირბინა 2 წუთსა და 29 წამის განმავლობაში.

მეორე შეჯიბრებაში მონაწილეობა ოთხმა ცხენმა მიიღო: თავ. დ. ქობულაშვილის „შელმამ“, ძმ. სულთან-გირეების „შარმეზმა“, თავ. რ. ჩხოტუას „კრივოე ზერკალომ“ და ა. გაზდანოვის „გრუსტმა“. „შელმა“ დაწყებისას ძლიერ გვიან გაჭენდა და ამის გამო მხოლოდ მესამე ადგილი დაიჭირა. „გრუსტი“ თავიდანვე შორს ჩამორჩა და უჯილდოვოდ დარჩა. „შარმეზი“ დიდხანს მიდიოდა წინ, მაგრამ ბოლოს დაიღალა და პირველი ჯილდო 214 მანეთი „კრივოე ზერკალომ“ წაართვა. მეორე მოვიდა „შარმეზი“ და აიღო 60 მანეთი, მესამე „შელმა“—აიღო 15 მანეთი. მანძილი დანიშნული იყო ორი ვერსი, რომელიც „კრივოე ზერკალომ“ 2 წუთსა და 25 წამში გაირბინა.

მესამე შეჭენებისათვის დანიშნული იყო 300 მანეთი ჯილდო ტფილისის საერობო თანხებიდან. ამ ჯილდოსათვისაც ოთხი ცხენი შეეჯიბრა. ნ. ლიუკსის „აპროპო“, ა. ლაზარევის მემკვიდრეთა „კორარი“, ვ. ყაზბეგის „ნირვანა“ და ი. ხან-ნახიჩევანელის „პონდორა“. „კორსარი“ თავიდანვე პირველი წავიდა და აჯობა კიდეც ყველას. $1^{1}/_{2}$ ვერსის მანძილი მან 1 წუთსა, და 45 წამ-ს განმავლობაში დაჰფარა და აიღო ჯილდო 211 მანეთი. „ნირვანა“ მეორე მიდიოდა ბოლომდე, მხოლოდ სტარტთან ძლიერ დაიღალა და იქ თავით „აპროპომ“ გაუსწრო და მეორე ჯილდო აიღო.

მეოთხე შეჭენებაში მონაწილეობა ექვს ცხენს უნდა მიეღო. მაგრამ დ. ედიგაროვის „კარმენსიტა“ და ლიუკსის „აპროპო“ მოხსნეს და გაჭენდა ოთხი ცხენი.

თავ. დ. ქობულაშვილის „ლიუნა“ ა. ლაზარევის მემკვიდრეთა „რაკამბოლი“, ა. გაზდანოვის „ფინალი“ და ძმ. სულთან—გირეების „რობილანტი“. პირველი ჯილდო აიღო „რაკამბოლმა“, რომელმაც 2 ვერსის მანძილი 2 წუთსა და 24 წამის განმავლობაში დაჰფარა. მას მოჰყვა „ლიუნა“ და მესამე ადგილი დაიჭირა „რობილანტმა“ „ფინალი“ უჯილდოვოდ დარჩა, რადგან ყველას ჩამორჩა.

ბოლოს მოხდა ყველაზე საინტერესო და საშიშარი შეჭენება, რომლის დროსაც მხედრებად იყვნენ ოფიცრები: პ. ვესელოვსკი, (ცხენი —„კრანეზ“), თავ. ნ. ანდრონიკაშვილი (ცხენი—„პერიკოლლა“), გ. თუმაევი (ცხენი — „მელისანდა“), კორნეტი ტუსკაევი—(ცხენი—„სარმაზკა“), ი. ენიკოლოპოვი (ცხენი—„ვოლტა“) და ვ. ყაზბეგი (ცხენი—„კრამოლა“). ამ დოღის დროს გზა გზა დაბრკოლება—ნახევარ საჟენის სიმაღლე წნული ღობეები იყო გაკეთებული, ოთხ ადგილას. პირველ დაბრკოლებასთან ცხენიდან გადმოვარდა გ. ტუმაევი, მაგრამ არ დაშავებულა, მარდად წამოხტა ფეხზე და ცხენი ისევ გააჭენა. მეორე დაბრკოლებაზე გადახტომის დროს პ. ვესელოვსკის ცხენი წაიქცა, მხედარი გადავარდა და ძლიერ დაშავდა. მას დაუშავდა მხარი და ზურგი. დანარჩენები კი უვნებლად მავიდნენ ბოლომდე. აქათგან ძლიერ ჩამორჩა ენიკოლოპოვის ცხენი „ვოლტა“. ყველას კვლავ აჯობა თავ. ანდრონიკაშვილის „პერიკოლამ“, მეორე მოვიდა ტუსკაევის „სარმაზკა“ და მესამე—ყაზბეგის „კრამოლა“.

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჭუმბაძე.


# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა მიმოსვლა

(ზ ა ფ ხ უ ლ ო ბ ი თ)
18 აპრილიდან
(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით)

### ტფილისიდან გადის.

**ბაქოსაკენ:** № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

**ბათომისაკენ:** № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **ს ჩქარი** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ** ღამის 10 ს 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

**ბორჯომისაკენ:** № 17, **სახ.** დილ. 8 ს 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

**მცხეთაში:** № 65, **საგარაკო** დილ. 8 ს. 46 წ., № 67, **სააგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

**ჯულფისკენ:** **საფ.** № 4;3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

**ყარსისკენ:** **სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს 46 წ.

**ერევანისკენ:** № 24;23, **საბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

### ტფილისში მოდის:

**ბაქოდან:** № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო** - პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 105, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

**ბათომიდან:** № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ** შუადღ. 2 ს 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე) № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 06, **ნარევ.** ღამ. 2 ს. 12 წ.

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 პ. **ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქაიანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).

10, 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტის შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ-ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდია, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 59 და მ ლაკის მოედანზე

## უფასო საექიმო დახმარება

### ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. ველდლინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

6—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

## ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

# განცხადებანი

დოქტორი მედიცინისა
## გ. ა. ახვერდოვი,
პეტერბურგის სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულისა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 12—1 ს., საღ. 6—8 ს. **სემინოვის ქ.**, № 18, (ვორონცოვის ძეგლის მახლობ.), ექიმ. ზინა—სემიონ. ქ, № 16. 1159

**ჰყიდი** საგარაკო მამულს გორის მაზრ. სოფ. ახალქალაქში; ოთხი ოთახი, მშვენიერი და მოხდენილი ბაღით. შიგ ბაღში გამოდის სასიამოვნო და სუფთა წყარო. ნამდვილი საგარაკო ადგილია. 245 **დავით გოგბერიძე.**

ვაგზლის
## სამშობიარო თავშესაფარი
ე. ლ. არშანინისა დ ს. ს. ხატიევისა
**ფეხმძიმეთა და მშობიარეთა მიღება** სწარმოებს ყოველ-დღე. არის საზოგადო და ცალკე ოთახებიც. მასსაჟი და ყვავილის აცრა, საბებიო საქმე და დედათა სქესის ავადმყოფთა მიღება და აგრედვე ძიძათა შემოწმება ყოველ-დღე.
თავშესაფ. გამგე **ექიმი ა. გ. ბაღდასაროვი.**
**ვაგზლის ქუჩა № 2, ტელეფ. № 3—22** 1018.

# ექიმნავასარდიანის

## პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.**
**დ ი ლ ი თ:**
## „606“ და „914“
**11—12 ს. შ ე ш ხ ა პ უ ნ ე ბ ა კონსულტაციურად.**

**გ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. ბაგასაროვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** $9^{1}/_{2}$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10 12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ბაღდასარიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ბაღდასარიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის-დოქტორი **გ. ა. ნავასარდიანი.** 1004

—◆ **გამოსულია და იყიდება** ◆—

## ნ. შიუკაშვილის
პიესა **„მეგობრობა“**, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

მ ე ო ა დ-ე რ თ ი
## ამერიკულ ვაზის სანერგე
## „კლო-ჟღურული ქუთაისში“
ურჩევს და ჰყიდის საუკეთესო ყოველნაირ საძირე ამერიკულებზე დამყნილ ვაზებს, ყოველნაირ მიწებისათვის; ერთად-ერთი საშუალებაა, რომ მიიღოთ გამძლე ვენახები, კარგი მოსავალი და კარგი თვისების ღვინო.
მყიდველების ამორჩევით საუკეთესო და ახალი პირდაპირ ნაყოფიერი გიბრიდები.
**კატალოგები, პრეის-კურანტები და ყოველგვარი ახსნა უფასოდ.**
ქუთაისის კანტორა: მიხაილოვის ქუჩა, სახლი ძმათა გოკიელოვებისა.
მისამართი წერილებისა და დეპეშისათვის: „КЛО-ЖГУРУЛИ“, Кутаисъ. 1108

**განსაკუთრებით ქალების საერთო**
## ა ხ ა ლ ი ა ბ ა ნ ო
ბუნებრივი გოგირდის წყალი, ორი ცხელი ვანით, საგრილობელით, ელექტრონის განათებით და ყოველგვარ ახალ სატეხნიკო მოწყობით. ფასი შაურიდან სამ შაურამდე. ვორონცოვის ქუჩაზე, მარჯვნით სუფ-სარქისის შესახვევი, მეხუთე საპოლიციო ნაწილის პირდაპირ, № 4.
**ა. ბ. მურსაქულოვისა.** 240

**გამოსულია და იყიდება**
## ი. გედევანიშვილის პიესა
## „გ ა მ ც ე მ ი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

**ფოტოგრაფიულ აპარატებისა და სხვა სახელსაწყო ნივთების საწყობი**
## ო. მ. სოტირიადისა.
ტფილისი, კიროჩნი ქ. № 10
**ახალი ფოტოგრაფიული პლასტინკები, გამარჯვება (победа), იმპერიალი და ქაღალდი გევერტისა და სლონისა.**
დიდი არჩევა ფოტოგრაფიულ
## გლანკებისა.
**ფასი ხელმისაწდომია.** 1139




მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი, **ქვირითის** (კეტოვ.) **ხიზილალა** თევზის მრეწველნი
## ძმ. ძმველოვები.
**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.**
**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712.**
1131

გამოსული ქერჩის
## სელიოტკები,
და ყოველგვარი
## კ ო ნ ს ე რ ვ ე ბ ი.
მოგვდის მუდამ დღე საკუთარი საი მრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თართი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მოხარშული ძეხვი, ზურგიელი,** და ყოველგვარი


ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.